სპორტიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 14 აგვისტო 2003 №151 (1922) | ფასი 50 თეთრი

მე ვიქნები პრეზიდენტი!

ოფიციალურმა პატარაციშვილმა დირექტორები შეამცირა



გმადლობთ, გია! დინამოს მმართველად პეტრიაშვილი დარჩა

იხილეთ მესამე გვერდი



ლიგა თვალში გვეცა



REUTERS ბრატისლავიდან

„ყილინი“ — „ჩელსი“ 0:2. რომან აბრამოვიჩის ახალშენაძენმა დემიენ დაფმა მასპინძლებს გადაურბინა

გუშინ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი გახურდა და ჩვენებურთა გუნდებიც გვარიანად შეახურეს.

ლიგის ლაბირინთებში ფეხი შედგა კიდევ ერთმა ქართველმა — ზურაბ ხიზანიშვილი სხვა „ჩაფრებთან“ ერთად დანიურ „კოპენჰაგენს“ დაუხვდა. „რეინჯერსი“ ფრეს გამორჩა მიხეილ აშვეთიას ყოფილ გუნდთან და ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად საპასუხო მატჩში დიდი ომიც გარანტირებული აქვს.

ულიგოდ არც ხსენებული აშვეთია დარჩენილა. მიხოს „ლოკომოტივს“ „შახტარმა“ ხომ ნერვები დაანყვიტა და უკეთეს დღეში არც ჩვენებური დარჩენილა. პირველი ტაიმის ბოლოს აშვეთიას ლამის თვალი გამოთხარეს, ქართველი შესაცვლელი შეიქნა და მის გარეშე დარჩენილმა „ლოკომოტივმა“ 0:1 დათმო უკრაინელებთან.

ხიზანიშვილის და აშვეთიას გუნდებს ყველაფერი წინ აქვთ, საუეფასთასო მეტოქეებთან ჩასულ ჩვენებურთათვის კი შესაძლოა ყველაფერი დღესვე დასრულდეს. „ტორპედო“ ლანსშია, „სიონიც“ მშვიდობით ჩავიდა პუხოვამდე. ბოლნისელთა ქომაგები ბრატისლავის ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „ფორუმში“ დაბინავდნენ, „სიონი“ კი პუხოვურ ორვარსკვლავიან „ვილში“ გაჩერდა. გუშინვე ქართულმა გუნდებმა მეტოქეების მოედნებზე ივარჯიშეს დღეს კი სანერვიულოსაც გაგვიჩენენ.



REUTERS ბელგრადიდან

პარტიზანი — ნიუკასლი. სტუმარმა გარი სპიდმა მასპინძელ იგორ დულიაის სარმა კი გამოსდო, მაგრამ ამით რა...

REUTERS რომიდან

ლაციო — ბენფიკა. სინიშა მიხაილოვიჩმა პორტუგალიელებს თავისი გაუტანა

ინგლისი

კონფერენსლიგა. II ტური

აპრინგტონი 4:1 ლეიფი

ლიგის თასი. I ეტაპი

ბოსტონი 1:3 *რედინგი*

ბრისტოლი 4:1დ.დ.(1:1) სუონსი

ოქსფორი 2:0 პიტერბრო

იფსვიჩი 1:0დ.დ.(0:0) კიდერმინსტერი

მენსფილდი 1:2 *სანდერლენდი*

უენსდი 2:2დ.დ.(პენ.4:5, 1:1) *ჰარტლპული*

ვესტ ჰემი 3:1 რაშდენი

შვედეთი

ალსვენსკა. XVII ტური

ჰელსინგბორგი 0:2 გიოტებორგი

სუპერეტა. XIX ტური

ბოდენი 0:0 გეფლე

ჰეკენი 2:1 ფალკენბერგი

სილვია 1:2 ნორჩიოპინგი

კალმარი 2:1 ტრელებორგი

იფკ მალმიო 4:1 ფრიოლუნდა

ნორვეგია

I დივიზიონი

გადადებული მატჩი

ჰაუგესუნდი 2:2 რაუფოსი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XVI ტური

ლაჰტი 3:0 ინტერი

ჩეხეთი

გამგრინუს ლიგა

I ტურის მატჩები

ბრნო 2:0 ოსავა

ლიბერეცი 1:0 ბლშანი

იაპონია

თასის 1/4 ფინალი. I მატჩები

იოკოჰამა 0:1 ივატა

კაშიმა 5:1 ნაგოია

შიმიცუ 1:1 გამბა

ურავა 2:2 ტოკიო

სლოვენია

გადადებული მატჩი

დომზალე 0:3 კოპერი

ბელგია

II დივიზიონი. I ტური

დენდერლეო 2:2 გელი

ვიზეტი 1:4 ჰამე

დაინცე 0:1 ვარეგემი

ტინენი 4:1 ბრიუსელი

სპორტინგ ვესტი 2:1 ტუგეკე

ეუპენი 0:1 რონსე

მეხელენი 0:2 რუზელარე

დესელი 3:2 აალსტი

ვირტონი 0:0 ოსტენდე

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE — მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები — CHAMPIONS LEAGUE

შახტარი (უკრაინა) 1:0 **ლოკომოტივი** (რუსეთი)

1:0 ვუკიჩი (56ა)

ლოკომოტივი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, პაშინინი, იგნაშევიჩი, ლეკზეტო, სენიკოვი, მამინოვი, ლოსკოვი (ბუზნიკინი 68, ვაგნერი 73), ხოხლოვი, აშვეთია (იზმაილოვი 42), პარკსი

მალხაზ ასათიანი განაცხადში არ იყო

მწვრთნელი: იური სიომინი

გაძევება: პაშინინი (88)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

32 000 მაყურებელი

რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1 **კოპენჰაგენი** (დანია)

1:0 ლოვენკრანდსი (7), 1:1 ტ. იონსონი (51)

რეინჯერსი: კლოსი, მორის როსი, ჯ. მური, ხიზანიშვილი, ბოლი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა, რ. დე ბური, ლოვენკრანდსი, მოლსი

შოთა არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

47 401 მაყურებელი

გალათასარაი (თურქეთი) 3:0 **ცსკა** (ბულგარეთი)

1:0 ჰასან შაში (3), 2:0 ჰაქან შუქური (6), 3:0 არიფი (37)

გაძევება: იორდანოვი (59, ცსკა)

ჟილინა (სლოვაკეთი) 0:2 **ჩელსი** (ინგლისი)

0:1 გუდიონსენი (42), 0:2 დრაჰნო (76ს.ჯ.)

მტკ (უნგრეთი) 0:4 **სელტიკი** (შოტლანდია)

0:1 ლარსონი (17), 0:2 აგატი (36), 0:3 ს. პეტროვი (70), 0:4 სატონი (90)

ვარდარი (მაკედონია) 2:3 **სპარტა** (ჩეხეთი)

0:1 პობორსკი (36), 0:2 გლუშკევიჩი (40), 1:2 როეერიუ (60), 2:2 გეორგიევსკი (75), 2:3 პობორსკი (89)

გაძევება: პოლედიცა (74, სპარტა)

ანდერლეხტი (ბელგია) 3:1 **ვისლა** (პოლონეთი)

1:0 იესტროვიჩი (11), 2:0 ლოვრე (36), 3:0 დინდანე (59), 3:1 ჟურავსკი (77ს)

აუსტრია (ავსტრია) 0:1 **მარსელი** (საფრანგეთი)

0:1 სიჩოვი (4)

ბრიუგე (ბელგია) 2:1 **დორტმუნდი** (გერმანია)

1:0 ნ. ჩეხი (32), 2:0 ვერპეინი (44), 2:1 ამოროზო (52)

გრასჰოპერი (შვეიცარია) 1:0 **აეკ** (საბერძნეთი)

1:0 ნუნიესი (83)

პარტიზანი (სერბეთი) 0:1 **ნიუკასლი** (ინგლისი)

0:1 სოლანო (38)

რუსენბორგი (ნორვეგია) 0:0 **დეპორტივო** (ესპანეთი)

ლაციო (იტალია) 3:1 **ბენფიკა** (პორტუგალია)

1:0 კორადი (16), 2:0 ფიორე (52), 2:1 სიმაო (64), 3:1 მიხაილოვიჩი (80)

უეფას თასი

UEFA CUP — საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი — UEFA CUP

ვენტსპილსი (ლატვია) 1:1 **პლოცკი** (პოლონეთი)

მსოფლიოს 17-წლამდელთა ჩემპიონატი (ფინეთი)

FIFA

A ჯგუფი. I ტური	B ჯგუფი. I ტური
ფინეთი 2:1 ჩინეთი	არგენტინა 2:0 ავსტრალია
მექსიკა 0:0 კოლუმბია	კოსტა რიკა 1:1 ნიგერია

REUTERS ბრატისლავიდან

ჟილინა — ჩელსი. ლონდონელი ჯონ ტერი კარგად გაფრინდა

ყვითელი ბარათი კელტყმუილებს

უეფამ შოთა ხელზე დაიხვია



თუ ქართველი დანას ისვრის, კელტი რელიგიურად ყმუის, უეფა კი პირველს სჯის, მეორეს ჯერ აფრთხილებს.

გახსოვთ !! ივნისის დუბლინური ირლანდია — საქართველო? მოკლედ, უეფამ ეს მატჩი ბასრად ამოიჭრა გულში და ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ოფიციალურად გააფრთხილა — ემანდ რელიგიურ ამბავში ფეხბურთელების შეყმუვლებას თავი გაანებეთ, თორემ სანქციებს გამოგიწერთო.

სააგენტო „როიტერი" იუწყება, რომ იმ მატჩში ირლანდიელი ფანები ქართველთა შემტევ შოთა არველაძეს იმიტომ შეყმუოდნენ, რომ ის პროტესტანტული „რეინჯერსის" მოთამაშეა, ხოლო ირლანდიელები კათოლიკური „სელტიკის" მხარდამჭერნი არიანო. ერთი სიტყვით, უეფამ სწორედ ამ ფაქტის გამო გაუგზავნა ულტიმატუმი კელტ საფეხბურთო დიდმოხელეებს.

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა მდივანმა ფრან რუნიმ კი თავისიანები გააფრთხილა, მსგავსი საქციელის გამო უეფასგან სანქციები გველის, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ავნებს ჩვენ ნაკრებსო.

დავით თავართქილაძე

მიხეილ აშვეთია დონეცკში გათვალეს

ბადრი ჯალილაშვილის ფოტო

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივმა" დონეცკში „შახტართან" ჩემპიონთა ლიგის ბოლო შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი დათმო 0:1.

რკინიგზელთა მწვრთნელმა იური სიომინმა სასტარტოში ამჯერადაც ერთადერთი ქართველი, მიხეილ აშვეთია დააყენა. ნახევარმცველი მალხაზ ასათიანი „ლოკომოტივს" დონეცკში კი ახლდა, მაგრამ მას არც ახლა უთამაშია, ის კი არა, სიომინმა ჩვენებური 18-კაციან განაცხადშიც არ შეიყვანა.

აშვეთია პირველი ტაიმის მიწურულს, 42-ე წუთზე მარატ იზმაილოვით შეცვალეს. ვიცით, სიომინს მისი ძალიან ეიმედება და აშვეთიას მოედნიდან გაყვანამ ამიტომაც გაგვაკვირვა..

საქმე ისაა, რომ მიხოს ტრავმა მიეყენა, მას გუშინ დონეცკში შევეხმიანეთ. „ლოკომოტივი" უკვე აეროპორტში იყო და მოსკოვში გასაფრენად ემზადებოდა

— იური სიომინმა მოულოდნელად პირველივე ტაიმში შეგცვალა, მიზეზი?

— ტრავმის გამო. ახლა რა შედარებაა, უკეთ ვარ.

— რა გჭირს?

— ერთ-ერთი ორთაბრძოლისას, მეტოქის თითი მომხვდა თვალში. სიმწრისგან ლამის ვიღრიალე, თვალი საშინლად გაწითლებული და გასიებული მქონდა.

— ტრავმა სერიოზული ხომ არაა?

— არა მგონია. ახლა ნელ-ნელა მიცხრება, ერთი დღე იძულებით დავისვენებ.

— შენ თვალი დაიზიანე, „ლოკომოტივმა" თამაში წააგო. ცხადია, გულგატეხილი იქნები...

— წავაგეთ, მაგრამ 0:1 ურიგო შედეგი არაა. მსაჯმა აშკარად გამოგონილი პენალტი დაგვიდო და დონეცკელთა ხორვატმა ვუკიჩმაც ერთადერთი შანსი გამოიყენა.

— ისე ლაპარაკობ, მომენტებით დახუნძლული მატჩი არ უნდა ყოფილიყო...

— ეგრეა, გამოკვეთილი უპირატესობა არც ჩვენ გვქონდა და არც იმათ. რასაც ქვია, რეალური საგოლე მომენტები, თითზე ჩამოსათვლელი თუ იყო, ფრეს ვისურვებდით, მაგრამ არ გამოვიდა.

— სიომინმა თამაშის მერე რა გითხრათ?

— წაგება, აბა, ვის უხარია, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. არაუშავს, წინ მეორე მატჩი გველის, შინ აუცილებლად უნდა მოვიგოთ და ჯგუფურ ეტაპზეც ჩვენ უნდა გავიდეთო.

— როგორ ფიქრობ, შეგიძლიათ „შახტარის" დაჯაბნა?

— რატომაც არა. შეგვიძლია კი არა, დარწმუნებული ვარ, დონეცკელებს გავაგდებთ და ლიგაშიც ჩვენ შევალთ. საპასუხო მატჩისთვის უკვე ხვალიდანვე დავიწყებთ მზადებას.

— მალხაზ ასათიანი ისევ არ ათამაშეს, არადა „ლოკომოტივს" დონეცკში ახლდა...

— არ ათამაშეს კი არა, საერთოდ 18-კაციან განაცხადშიც არ იყო.

— რატომ? რა ხდება? იქნებ შენ მაინც გვითხრა მისი უთამაშებლობის მიზეზი...

— რაც არ ვიცი, რა ვთქვა.

— მწვრთნელი არ ენდობა?

— მგონი, ნდობა არაფერ შუაშია, მახო ვარჯიშებზე თავს არ ზოგავს.

— მისი უთამაშებლობის მიზეზი ალბათ კონკურენციაა...

— მეც ასე ვფიქრობ, სიომინი შუა ხაზში უფრო გამოცდილებს ენდობა, ლოსკოვ-ხოხლოვ-მამინოვის ტრიოს გარეშე ნახევარდაცვა ვერ წარმოუდგენია. მაგარი კონკურენციაა, ძირითადში მოხვედრა მარატ იზმაილოვსაც უჭირს.

გიორგი ვაშაკიძე

ახალი ამბავი თბილისის „დინამოდან": ჯლუბის პრეზიდენტად ახლა უკვე ოფიციალურად გამოცხადდა ბადრი პატარკაციშვილი, რომელიც ქვეყნის ჩემპიონებს თითქმის ორი წელიწადია, პატრონობს და აქამდე ოდენ ჯლუბის სპონსორად მოიხსენიებოდა

ბადრი პატარკაციშვილი: მე ვიქნები პრეზიდენტი!

დინამომ ფირცხალავა მადლობით გაისტუმრა

წინა სეზონის დასრულების შემდეგ პატარკაციშვილმა „დინამო" თავის რეზიდენციაში მიიწვია და ჩემპიონობა მიულოცა. სწორედ მაშინ გუნდმა პატრონს პრეზიდენტობა სთხოვა, პატარკაციშვილი „დინამოს" წინადადებას სიტყვიერად დაეთანხმა, მაგრამ დღემდე პრეზიდენტის ფუნქციას გუნდის აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა და მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი ასრულებდნენ.

ბადრი პატარკაციშვილი

ბადრი ჯალილაშვილის ფოტო

ახლა საქმე სხვაგვარადაა, „დინამოს" პრეზიდენტი, როგორც ვთქვით, ბადრი პატარკაციშვილი გახდა, უშუალოდ შიდასაკლუბო საქმეებს მმართველი დირექტორი დავით პეტრიაშვილი მიხედავს. კლუბში გაუქმდა აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა, გია ფირცხალავას კი ხელმძღვანელობამ კლუბისთვის რთულ პერიოდში გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა.



ბადრი ჯალილაშვილის ფოტო

გია ფირცხალავა

საფეხბურთო კლუბის პატრონთა გადაწყვეტილებით, „დინამოში" სტრუქტურული რეორგანიზაციის პროცესი დაიწყო. რა შეიცვლება, როგორ, რატომ, ამას კლუბი უახლოეს მომავალში იტყვის.

და რაკი, სიტყვა „დინამოზეა", აქვე ვთქვათ, რომ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიში დაიწყო რატი ალექსიძემ, რომელსაც ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული და ორი თვე მკურნალობდა. ასევე განაახლეს ვარჯიში ტირანაში მატჩისას დაშავებულმა გიორგი ანჩაბაძემ და მამუკა წერეთელმა. ისინი მომავალ კვირაში შეძლებენ თამაშს.

ქოგა ინასარიძე



ლევან ხომერიკი

გუშინ ფოტოალბომის ფოტო

რკინიგზაში ტალახსაც იყენებენ

შვეიცარიამოვლილი ლოკომოტიველი ლევან ხომერიკი გორის „დილასთან" მატჩში ისე დაშავდა, რომ მომდევნო ტურში მშობლიურ „ბათუმთან" გუნდს ვერ შეეშველება.

„ლოკომოტივის" შემტევს საზარდული აწუხებს და დღეიდან მკურნალობას ურეკში გააგრძელებს.

იქ ხომერიკი ტალახის აბაზანებს მიიღებს ტრავმის მოსაშუშებლად — ასეთი მეთოდი ურჩიეს ფეხბურთელს. რკინიგზელთა ფორვარდი გურიის ამ კურორტზე სამ დღეს დაჰყოფს და მერე აჭარაში „ბათუმი" — „ლოკომოტივის" მატჩსაც დაესწრება.

დავით თავართქილაძე

თვის ბოლოს იტალიის ჩემპიონატი იწყება. სერია A-ს კლუბებიც გამალებით ემზადებიან. დამღლელი, მომქანცველი ვარჯიშები, შიგადაშიგ ამხანაგური საკონტროლო მატჩები...

ცხადია, ემზადება ევროპის საკლუბო ჩემპიონი „მილანიც“, რომელმაც გუშინწინ ანკონაში გამართულ ტრადიციულ მინი-ტურნირში მიიღო მონაწილეობა. „შავ-წითლებმა“ ორივე, 45-45 წუთიანი ტაიმებისგან შემდგარი მატჩი დათმეს ჯერ „იუვენტუსთან“, მერე „ინტერთან“.

ჩვენთვის სამწუხარო ამბავიც „ინტერთან“ მატჩში მოხდა, საქართველოს ნაკრების მცველმა და „მილანის“ მარცხენა ფლანგელმა ტრავმა მიიღო.

წუხელ, კახა კალაძეს იტალიაში რომ დავუკავშირდით, აქეთ დაგვამშვიდა, სერიოზული არაფერიაო...

სამი ნაკერი და ვიერის ბოდიში

კალაძეს ამაყი და უზრდელი მატერაცი გულზე არ ეხატება

— ჰაერში ამხტარს კრისტიან ვიერის მოქნეული იდაყვი მომხვდა და ნიკაპი გამიტყდა. ახლა, სამი ნაკერი მადევს, ექიმებმა მაშინვე მიწამლეს.

— ახლა თავს როგორ გრძნობ?

— ნორმალურად. ტრავმა სერიოზული არაა, თამაში შემიძლია.

— ალბათ, ვიერისაც გამწარებულმა ამად გაექაჩე...

— ჰო, მცირე შელაპარაკება მოგვივიდა. თუმც კონფლიქტი მინდორზევე მოგვარდა. თამაშის შემდეგ ბობო პირადად მოვიდა და მომიბოდიშა. ერთი სიტყვით, შევრიგდით.

— მატერაცი-ინძაგის შორის ამტყდარ ჩხუბზე რას იტყვი. ნუთუ, მატერაცი მართლა ასეთი უხეშია?

— უხეშია და მერე როგორი...

— იტალიური მედიაც სულ მატერაცის ზღვარგადასულ თავნებობაზე საუბრობს. კარლო ანჩელოტიმ და არიგდო ბრაიდამ ახლახან მას ცინიკურად „ვაუკაცი ბიჭიც“ უწოდეს...

— ფაქტი ისაა, რომ მარკო მატერაცი მართლაც უზრდელი და უხეშია. კარგი ფეხბურთელობა კარგ ბიჭობას არ ნიშნავს. ტიპია ეგეთი, ზედმეტად ამაყი და თავდაჯერებული.

— კეთილი. ახლა გუნდზეც ვთქვათ. „იუვენტუსთან“ იტალიის სუპერთასისთვის მატჩს თუ არ ჩავთვლით, დანარჩენ თამაშებს არაოფიციალურის სტატუსი ჰქონდა. თუმც, ყველა მატჩი დათმეთ. რა ხდება, რატომ ვერ იგებს „მილანი“ შეხვედრებს?

— შედეგს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. გუნდი ჩვეულებრივად გადის მოსამზადებელ ეტაპს. დღეში ორჯერადი, მომქანცველი ვარჯიშები გვაქვს, თამაშებისას კი ათასნაირ ტაქტიკურ სქემებს ვამუშავებთ. უმთავრესია, აგვისტოს ბოლოსთვის, სეზონის დასაწყისისთვის ვიყოთ მზად, სერია A-ს და ჩემპიონთა ლიგას ფორმის პიკზე რომ შევხვდეთ.

— „იუვენტუსი“ რომ „მილანის“ მარადიული მეტოქეა, ყველამ ვიცით. ტურინელებს, ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც თუ მივათვლით, უკვე ზედიზედ სამჯერ შეხვდით. „იუვესთან“ ახლაც გიწევთ ჯახი, ტრადიციულ ლუიჯი ბერლუსკონის თასზე...

— რას ვიზამთ, ასე მიეწყო.

— როგორ ფიქრობ, შარშანდელთან შედარებით, „იუვენტუსი“ კიდევ უფრო გაძლიერდა?

— ძალიან. „იუვე“ ისედაც ყოველთვის კარგი გუნდი იყო და არის. ახლაც საკმარისად გაძლიერდნენ — მიკოლი, აპია, ლეგროტალიე დაიმატეს. ბუფონზე, ნედვედზე, დელ პიეროზე და ტრეზეგეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

— ალბათ, სკუდეტოსთვის „მილანის“ მთავარი მოცილეც „იუვენტუსი“ იქნება...

— არა, რატომ, „ინტერი“? მას რა ხანია იტალიის ჩემპიონის ტიტული არ მოუგია და გააფთრებით იბრძოლებს. ერთი სიტყვით, სკუდეტოსთვის როგორც ბოლო დროს ხდება, გრანდები — „მილანი“, „იუვენტუსი“ და „ინტერი“ იბრძოლებენ.

— სხვები? მაგალითად, „რომა“ და „ლაციო“...

— ვფიქრობ, მათ ზემოხსენებულ სამეულთან შედარებით, ნაკლები შანსი აქვთ, თუმც ორივე რომ კარგი გუნდია, თქმა არ უნდა.

— 29 აგვისტოს მონტე კარლოში პორტუგალიური „პორტუ“ და ევროპის სუპერთასი გელით...

— მონაკოში 28 აგვისტოს, მარიამობას მივფრინავთ. ევროპის სუპერთასი პრესტიჟული ტიტულია, „პორტუს“ აუცილებლად უნდა მოვუგოთ და დავამტკიცოთ, რომ ევროპაში „მილანი“ უძლიერესია.

— „მილანის“ სატრანსფერო პოლიტიკაზეც ვთქვათ. მხოლოდ სამი ფეხბურთელი — კაფუ, პანკარო და ბორიელო შეიმატეთ, სულ ეს არის? 31 აგვისტო ახლოვდება და სატრანსფერო ფანჯარაც დაიხურება...

— რა ვიცი, ჯერჯერობით სიახლე არაფერია.

— იაპ სტამი ან კარლეს პუიოლიო? იტალიური გაზეთები და ინტერნეტსაიტები სავსეა ჰოლანდიელზე თუ ესპანელზე ინფორმაციებით...

— ვერაფერს ვიტყვი. სერიოზულად ჯერ არაფერი განუხილავთ და არც ადრიანო გალიანის მიულია რაიმე გადაწყვეტილება.

— და ერთიც. ამბობენ, „მილანის“ და „რომას“ ხელმძღვანელები უკვე შეთანხმებულნი არიან, ფრანჩესკო ტოტი უკვე მილანელია და ტრანსფერს შეგნებულად არ ახმაურებენ, ყველაფერს ნათელი 31 აგვისტოს მოეფინებაო. ტოტი მართლა „მილანში“ ითამაშებს?

— ჯერ ნაადრევი მგონია მაგაზე ლაპარაკი, თუმც გამორიცხული არაფერია. ფაქტი კია, ფრანჩესკო ძალიან ძლიერი ფეხბურთელია და „მილანიც“ მისგან სარგებლის გარდა, ვერაფერს გამორჩება.

გიორგი ვაზაკიძე

კახა კალაძეს ნიკაპი კი გაუტეხეს, მაგრამ ხავიერ ძანეტის მეურვეობა არ გასჭირვებია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან კობიაშვილი „პაშინგთან“ საგოლე პასით და საიმედო თამაშით გამოირჩა

ლევან კობიაშვილის „შალკე“ ინტერტოტოს თასის ფინალში ავსტრიულ „პაშინგს“ გადაეყარა, სტუმრად 2:0 მოუგო და ცალი ფეხით უკვე უეფას თასის საგზური მოიპოვა.

მოკლედ, კობიაშვილი და „შალკე“ ორ ფრონტს ელიან – აქეთ ბუნდესლიგა, იქეთ უეფა.

ქართველ შალკელს გუშინ შევეხმიანეთ გელზენკირხენში

კობი და როტაცია ერთად არ გამოდის

შალკე ორი ფრონტისთვის შეიმართა

— ალბათ უკვე შეიძლება ითქვას, რომ „შალკეს“ უეფას თასის საგზური ჯიბეში უდევს.

— რა თქმა უნდა, შეიძლება ამის თქმა, მაგრამ საქმე მაინც არაა ბოლომდე მიყვანილი — ფეხბურთში ხომ ყველაფერი ხდება.

— ბუნდესლიგის ბოლო ტურში „მიუნხენ 1860“-თან და „პაშინგთან“ რა პოზიციაზე ითამაშე?

— „პაშინგთან“ მარცხენა ნახევარმცველად, „1860“-თან კი ნახევარდაცვის ცენტრში.

— რითია გამოწვეული ამპლუების ასეთი ცვლა?

— არ ვიცი, თუმც „1860“-თან მწვრთნელმა ჰამიტ ალტინტოპი დასვენა და მის პოზიციაზე მე მომიწია თამაშმა. მერე ისევ მარცხნივ გამამწესა. ვფიქრობ, ეს ჩემთვის ნორმალურია, რამდენიმე პოზიციაზე თამაშს შეჩვეული ვარ — ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

— გერმანული პრესა ძალიან აქებს ალტინტოპს — შენ როგორ დაახასიათებდი ამ ახალგაზრდა თურქ ფეხბურთელს?

— მას მართლა ძალიან აქებენ აქაური გაზეთები. ალტინტოპმა ხომ გოლებიც გაიტანა და მართლაც კარგად ითამაშა, როგორც „დორტმუნდთან“, ისე „პაშინგთან“. ყველას აქვს ამ ფეხბურთელის იმედი, ის ბევრს მიაღწევსო. თუმც ალტინტოპი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, თანაც მხოლოდ ორი თამაშით დასკვნებს ვერ გამოვიტანთ.

— ბუნდესლიგაში ორი ტური მიილია და ჯერ თამაში არ მოუგია „შალკეს“...

— ორ თამაშში ორი ქულა მოვიპოვეთ — ასეთი შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნებით, რადგან მაღალი მიზნები გვაქვს დასახული, მაგრამ თამაშის ხარისხით უკმაყოფილონი ნამდვილად არ ვართ. „დორტმუნდთან“ დასანანი გოლები გავუშვით (2:2), „1860“-ს კი ნაღდად ვჯობდით, თუმც 1:1 და ისევ ორი ქულა დავკარგეთ. მომდევნო ტურში შინ ვთამაშობთ „კიოლნთან“ და ახლა მხოლოდ მოგება გვმართებს.

— „შალკეში“, ასე ვთქვათ, უკვე ჩაჯექი, მოერგე გუნდს?

— ეს ჯერ კიდევ რთულია, ასე მალე ახალ გუნდს ვერ შეეწყობი, მაგრამ ყველაფერი ნორმალურად მიდის.

— იმის თქმა უკვე შეიძლება, თუ რა ფეხბურთს ათამაშებს იუპ ჰაინკესი „შალკეს“?

— ჰაინკესმა სეზონის დაწყებამდე გვითხრა, ჩვენი სქემა 4-4-2 იქნებაო. რაც შეეხება სათამაშო სტილს, ჩვენ ცალსახად შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ.

— ჰაინკესმა ისიც თქვა, როტაციის პრინციპით უნდა ვითამაშოთო და მართლაც, „შალკეს“ შემადგენლობა ხშირად იცვლება — მწვრთნელი ალბათ უკვე ორი ფრონტისთვის ემზადება — ბუნდესლიგა და უეფას თასი.

— ეგრეა. ჩვენ ახლა ფაქტობრივად ყოველ სამ დღეში გვიწევს თამაში და მწვრთნელიც ამიტომ მიმართავს როტაციას. თანაც „შალკე“ ისეთი გუნდია, თავისუფლად შეუძლია 5-6 ფეხბურთელი თითქმის სრულფასოვნად შეცვალოს.

— მაგრამ ეს როტაცია ლევან კობიაშვილს ჯერ არ შეხებია...

— ეს ჩემთვის კარგია — რაც უფრო მეტს ვითამაშებ, მით უკეთესი.

— ნაკრების ამ შესარჩევ ციკლში კი სამი თამაში დაგვრჩა, რა უნდა შესძლოს ამ მატჩებში საქართველოს ნაკრებმა?

— ძნელია, ასეთ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ჩვენ ყოველ თამაშზე მოსაგებად კი გავდივართ, მაგრამ წინასწარ ვერავინ ვერ დაგეგმავს შედეგს, თვით დიდი ნაკრებებიც კი. მით უმეტეს ხომ ყველამ ვიცით, რა სიტუაციაში ვართ.

დავით თავართქილაძე

ჩემპიონთა ლიგა

CHAMPIONS LEAGUE — მეხუთე საჩემპიონოზიანობო ტურის. პირველი მატჩები — CHAMPIONS LEAGUE

დინამო (უკრაინა) 3:1 **დინამო** (ხორვატია)
1:0 ფიოდოროვი (33), 2:0 ლეკო (39), 2:1 კრანიჩარი (41), 3:1 ო. გუსევი (82)

გრაცერი (ავსტრია) 1:1 **აიაქსი** (ჰოლანდია)
1:0 პოგატეცი (56), 1:1 სნეიდერი (79)

სელტა (ესპანეთი) 3:0 **სლავია** (ჩეხეთი)
1:0 მოსტოვოი (18), 2:0 ხესული (49), 3:0 ედუ (55)

„სელტა“ — „სლავია“. მასპინძლთა ბრაბილიელ ედუს ტომმ პრელიმამ ფეხი დუკადი

სანამ ბიჭები ათამაშდებიან

მივიღოთ ოცი ბურთი და ორი ლიმუზინი

ჩემპიონთა ლიგის კარის შესანგრევად ბოლო ეტაპის ორრაუნდიანი ბრძოლები დაიწყო. ლიგაში ცხვირის შეყოფის მსურველთა შორის რამდენიმე ისეთი გუნდია, რომ შესაძლოა, მეტოქეებმა მათ პირველივე მატჩებში მიუნაყონ ცხვირ-პირი, მაგრამ საპასუხო შეხვედრებში შანსი თითქმის ყველას აქვს.

ვალერი ლობანოვსკის დანატოვარ კიევის „დინამოს“ საქმეებს ალექსეი მიხაილიჩენკო საკადრისად გაუძღვა. უკრაინის სიამაყემ ზაგრებელ სეხნიას ორბურთიანი სხვაობით სძლია და ხორვატიაში საშინაო მონაგარი თუ არ გაანიავა, რჩეულ 32-ში მოხვდება.

მასპინძლებს ნახევარ საათზე მეტი დასჭირდათ მოწინააღმდეგის დაცვის გასარღვევად. სტუმრები საკმაოდ მშვიდად და გააზრებულად იცავდნენ თავს, ისე, რომ კიეველებს ერთი რეალური საგოლე მომენტიც კი არ ეღირსათ. ხორვატები ბურთს როგორც მოიგდებდნენ, მოედნის ცენტრში ათამაშებდნენ და უკრაინელებს ასართმევად იწვევდნენ. აბა, ოდეს ყოფილა, კიევის „დინამო“ სირბილით დაღლილიყოს. დამხვდურებმა ტაიმის მიწურულს ტემპს მოუმატეს და ზაგრებელმა მცველებმა შეცდომებს უხშირეს. სწორედ ორი შეცდომის წყალობით შვიდწუთიან მონაკვეთში მასპინძლებმა ორჯერ იხეირეს.

ნესმაჩნი საჯარიმოს მისადგომებთან აგიჩმა დასცა. ბელკევიჩმა კარის წინ ჩააწოდა და სხვებზე მაღლა ამხტარმა ფიოდოროვმა იოზიჩის კარში ბურთი თავით ჩააჭედა. ოდნავ მოგვიანებით სტუმრები თვისტომმა, კიევის „დინამოს“ ხორვატმა ლეგიონერმა დააღონა. ბელკევიჩმა გამოზომილი პასით მცველები უსაქმოდ დატოვა, იერკო ლეკომ კი თორმეტიოდ მეტრიდან ზუსტად დაჰკრა.

ამ მოზღვავებულ სიხარულში დამხვდურები მოეშვნენ და შესვენებამდე საპასუხო გოლი გაუშვეს. კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი სედლოსკიმ მეკარის ბაქანში თავით ჩააგდო და კრანიჩარს ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

კიეველებს პირველი ნახევრის მიწურულს გასამების საშუალება ჰქონდათ. გუსინის ნათავურალი ბურთი ხორვატი მცველის ხელით კარის ხაზიდან უკუიქცა. მასპინძლებმა შეტევა გააგრძელეს და გოლს თითქოს აღარაფერი უკლდა, თუმცა ხაცკევიჩის ღონივრად დარტყმულმა ოდენ ხარიხა შეაზანზარა.

მეორე ტაიმში უკრაინული გუნდი მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას ცდილობდა, ხორვატები კი სხვაობის შემცირებას ეშურებოდნენ. შეხვედრის მიწურულს კიეველთა ახალწვეულმა, შეცვლაზე შესულმა გუსევმა თანგუნდელების წამოწყებული კომბინაცია გოლით დაასრულა — მაქსიმ შაკიხის თავური იოზიჩმა კი მოიგერია, მაგრამ იქვე ჩასაფრებულმა გუსევმა დასწრებაზე კარგად ითამაშა.

ვიგოს „სელტა“ ასე ახლოს ალბათ არასოდეს ყოფილა ჩემპიონთა ლიგასთან. გალისიელები მეტოქეს მთელი მატჩის განმავლობაში ჩხვლეტდნენ და სამზე მეტიც უნდა გაეტანათ. „სლავია“ უსუსურად გამოიყურებოდა. ჩეხებმა ოდენ ერთი რეალური მომენტი შექმნეს და პაველ კუკამ ისიც მიაფუჭეჩა.

როგორც ჩანს, „სელტას“ პატრონი არ შემცდარა, მოსტოვოი გუნდში რომ დატოვა. ვიგოელთა ლიდერმა ჩვეულ სტილში შესრულებული საჯარიმო დარტყმით მასპინძლები დაწინაურა.

შესვენების შემდეგ ხუთიოდ წუთში ხესულიმ დააკუხა 25 მეტრიდან და „სლავიას“ მეკარეს რადეკ ჩერნის ბურთი თვალებით შეაცილებინა კარში.

გალალებულმა დამხვდურებმა მესამე გოლი მალევე მოიმკეს. ხოსე იგნასიოს უძლიერესი დარტყმული ჩერნიმ კი მოიგერია, მაგრამ ედუ იქვე გაჩნდა და ბურთს საგოლედ დაამატა.

„აიაქსი“ ავსტრიაში პრეტენზიებით ჩავიდა. ჰოლანდიელებმა ვარჯიშის წინ კუთვნილი ათი ბურთის ნაცვლად ოცი მოითხოვეს, კლუბის წარმომადგენლებმა კი ერთის ნაცვლად ორი ლიმუზინი.

ამსტერდამელებს გრაცში აშკარად გაუჭირდათ. გუნდის სათანადოდ მოუმზადებლობა რონალდ კუმანმა ნამატჩევს ასე ახსნა: „ჰოლანდიის ჩემპიონატი დაიწყება და ბიჭები ბევრად უკეთესად ათამაშდებიან“. სანამ ბიჭები უკეთ ათამაშდებოდნენ, „გრაცერმა“ პირველ ტაიმში ისეთი საგოლე მომენტები გაანიავა, რომ მთავარ მწვრთნელ კრისტიან კეგლევიცს გული შეუღონდა. „იმ მომენტებიდან ორიც რომ გამოგვეყენებინა, ამსტერდამში უკეთეს ხასიათზე წავიდოდით“ — თქვა კეგლევიცმა.

ავსტრიელები შესვენების შემდეგ დაწინაურდნენ. მატიას დოლინგერის კუთხური ემანუელ პოგატეცმა თავურით გოლად აქცია, სტუმრები კი მარცხისგან ვესლი სნაიდერის ზუსტმა დარტყმამ იხსნა.

ვაჟა ხუციშვილი

ინტერტოტოს თასი 2003

ფინალი. პირველი მატჩები

პაშინგი (ავსტრია) 0:2 **შალკე** (გერმანია)
0:1 ალტინტოპი (19), 0:2 აგალი (47)
შალკე: როსტი, ჰაიტო, ვალდობი, მატელანი (კლასენური 68), ვან კერკჰოვენი, ასამოა, ალტინტოპი, პოულსენი, კოზიაშვილი, სანდი (როდრიგესი 76), აგალი
გაფრთხილება: ალტინტოპი, მატელანი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მაყური: კოსიმო ბოლონინი (იტალია)
6 000 მაყურებელი

ჰერენვენი (ჰოლანდია) 1:2 **ვილიარეალი** (ესპანეთი)
0:1 კალეხა (13), 1:1 ბალესტეროსი (25ს.ჯ.), 1:2 ვიქტორი (44)

პერუჯა (იტალია) 1:0 **ვოლფსბურგი** (გერმანია)
1:0 ბოტროიდი (39)

ჰამიტ, დედა რამდენი წლისაა?

გელზენკირხენში სასწაული თუ არ მოხდა, იუპ ჰაინკესის „შალკე“ ინტერტოტოდან უეფას თასზე გადაინაცვლებს.

ბრემენის „ვერდერის“ შემმუსვრელმა „პაშინგმა“ კიდევ ერთ ბუნდესლიგელთან ვეღარაფერი გააწყო. გერმანელი „ხუმარები“ მასპინძლებს მთელი მატჩის განმავლობაში სჯობდნენ და თითო ტაიმში თითო გოლი აკმარეს.

თურქული ფეხბურთის იმედმა ჰამიტ ალტინტოპმა კვლავ გაიტანა. მანამდე, შეხვედრის დასაწყისში ებე სანდის ერთი სახიფათო თავური იყო, ალტინტოპმა კი ოციოდ მეტრიდან შეაგდო.

ბუნდესლიგის პირველი ტურის შემდეგ დორტმუნდის „ბორუსიასთან“ შესრულებული დუბლით გახარებულ თურქს ჟურნალისტმა ჰკითხა: „დედათქვენი რამდენი წლისაა?“ — ალტინტოპმა არ იცოდა მშობლის ასაკი, ჯერ ორმოცდახუთი თქვა, მერე ორმოცდაათი, სამოციც წამოსცდა. ბოლოს ჟურნალისტს უთხრა, ზუსტად არ ვიცი, რამდენი წლისაა.

„შალკეს“ მეკარის შეწუხება პირველ ტაიმში პაშინგელმა მიხაელ ბაურმა სცადა. ეს მასპინძლთა იშვიათი მცდელობა გახლდათ.

შესვენების შემდეგ ლევან კობიაშვილის პასით ვიქტორ აგალიმ ანგარიში ორამდე გაზარდა და გელზენკირხენელებს შედეგის შენარჩუნება არ გასჭირვებიათ. ჯერალდ ასამოას და ვიქტორ აგალის კიდევ თითოჯერ შეეძლოთ გოლის გატანა და „პაშინგს“ საბოლოოდ მოახრჩობდნენ.

„ეს ზუსტად ის თამაში იყო, რასაც ჩემი გუნდისგან ველოდი. დაცვაშიც და შეტევაშიც ბრწყინვალედ გაისარჯნენ“ — თქვა ნამატჩევს იუპ ჰაინკესმა.

„პერუჯამ“ „ვოლფსბურგს“ კინკილა გოლით მოუგო, რომელიც ბოტროიდმა პირველი ტაიმის მიწურულს შეაგდო. „ქოვენთრის“ ყოფილმა მოთამაშემ დასწრებაზე კარგად ითამაშა და მწვრთნელი კოზმი გაახარა.

შესვენების შემდეგ „მგლებმა“ მასპინძელთა კარს კბილი ვერ გაჰკრეს, მაგრამ ერთბურთიანი სხვაობით მარცხი იურგენ რიობერის გუნდს საკმაოდ კარგ შანსს უტოვებს. თან გოლის ავტორ ბოტროიდს ინტერტოტოზე ორი ყვითელი მოუგროვდა და ვოლფსბურგის მატჩს გამოტოვებს.

ჰერენვენში „ვილიარეალმა“ იქაურებს ორჯერ გაუტანა, ერთიც საკუთარ კარში ბალესტეროსმა შეაგორა და ეს ყველაფერი პირველი ტაიმის 44 წუთმა დაიტია. ნამატჩევს მასპინძელთა მწვრთნელმა დე ჰაანმა აღიარა, რომ სტუმრებმა აშკარად უკეთ ითამაშეს, ვიდრე მისმა გუნდმა და „ვილიარეალის“ გამარჯვებაც ლოგიკურია.

ვაჟა ხუციშვილი

„შალკეს“ მეგოლეები: ვიქტორ აგალი და ჰამიტ ალტინტოპი

ფინეთს რუსული ბირთვული იარაღი აქვს ზამბაზობა ტა ქალზე

„ჰაკა“ — „ქსამაქსი“. იარკო ოკნენმა და პეტერ კრპანმა ერთმანეთს ხელი ძმაბიჭებივით მოხვიეს

ამ სეზონის უეფას თასის გათამაშების პირველი გოლი ფინეთში, „ჰაკას“ ენის მოსატეხი სახელის მქონე სტადიონზე გავიდა. ეს ამბავი ასე მოხდა: სპლიტელმა ფორვარდმა მარიო კარევიჩმა მასპინძელ მცველს იუსო კანგასკორპის ბურთი ააფაცქნა, გასცდა თანაგუნდელ პეტარ კრპანს უზადო პასი მიაწოდა. კარიდან ათიოდ მეტრში მყოფმა კრპანმა თავური დაჭრა და პანუ ტიოვენენს გაუტანა. ჰაიდუკელთა ზეიმი მხოლოდ ათ წუთს გაგრძელდა; ჰაკელმა მცველმა საჯარიმოში ჩაუშვა ბურთი და ტომი ტორკელიმ რუს ლეგიონერ ვალერი პოპოვიჩს დასარტყმელად დაუგორა. რუსმაც კარის მარცხენა კუთხეში შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა.

როგორც ჩანს, „ჰაკას“ ძირითად ბირთვს რუსები შეადგენენ, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში ისინი აქტიურობდნენ და მეორე გოლიც მათ გამოაცხვეს. მარცხენა ფრთაზე სერგეი ტერეხოვის და პოპოვიჩის კომბინაციას სამი რისტილას ზუსტი დარტყმა მოჰყვა და მასპინძლები დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ ხორვატთა მცდელობას შედეგი აღარ მოჰყოლია. მათ ძალიანაც არ გაურისკავთ და მომდევნო ეტაპზე გამსვლელ გუნდს სპლიტური მატჩი გამოავლენს.

მალტაში „ტა ქალზე“ „ლა ვალეტამ“ შვეიცარიელებს უმასპინძლა. პირველი საგოლე მომენტი დამხვდურებმა შექმნეს. მათ კაპიტან ჟილბერტ აგისს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ „ქსამაქსის“ მეკარე პატრიკ ბეტონიმ არ დაანება.

ამ ამბიდან ერთ წუთში გოლი „ლა ვალეტას“ კარში გავიდა. შვეიცარიელთა სებასტიენ ზამბაზმა საჯარიმოს გარედან ძლიერად დაჰკრა, მალტელმა შონ სალივანმა ბურთი ცხვირწინ მოიგერია და გრიფიტმა ახლოდან გაიტანა.

შესვენებამდე მასპინძლებს მეორეც მიართვეს. ანდრე ვიედერკერსის ჩაწოდებულ ბურთს კადერ მანგანეს თავი საგოლედ დაუხვდა.

მეორე ტაიმის შუახანს „ლა ვალეტას“ კაპიტანს მსაჯმა საქციელი დაუწუნა და გააძევა. კაცნაკლულებმა ისღა მოახერხეს, რომ მესამე გოლი აღარ გაუშვეს, თუმც არც „ქსამაქს“ მოუნდომებია ძალიან, რადგან ამ წყვილში, ფაქტობრივად, ყველაფერი გადაწყდა.

იუგოსლავიის მემკიდრეები, ბოსნიისა და სერბეთის გუნდები ერთმანეთს სარაევოში შეხვდნენ და მშვიდობიანად დასცილდნენ. მშვიდობიანობა ამ შემთხვევაში სერბი ფეხბუროელების დამსახურებაა, რადგან მატჩში ორივე გოლი მათ გაიტანეს. დასაწყისში „სარტიდი“ ნენად მილოსავლიევიჩის თავურით დაწინაურდა. ერთი ხელსაყრელი მომენტი სტუმრებს გოლამდე წუთით ადრეც ჰქონდათ. შეტევაში სერბები სჯობნიდნენ. „სარაევოს“ მირზეტ კრუპინაჩმა პირველ ტაიმში ოდენ ერთხელ შეძლო სერბი მეკარე დრაგან ზილიჩის შეწუხება. თავის მხრივ „სარაევოს“ გოლკიპერ მუჰამედ ალაინს კი რამდენჯერმე მოუწია ბურთის მოგერიება და უმეტესწილად მილოსავლიევიჩი აქტიურობდა.

შესვენების შემდეგ მატჩის ხასიათი არ შეცვლილა და შეხვედრის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე ზელკო კოვაჩევიჩის უღიბლობა რომ არა, სერბები შინ გამარჯვებულები დაბრუნდებოდნენ. კოვაჩევიჩმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და ფრეც გაიჩარხა.

„სარაევოს“ მწვრთნელი ჰუსრეფ მუსემიჩი: „სტუმრებმა ძალიან მალე გაგვიტანეს და საქმე გაგვირთულეს. ბოლოს ფრეს მონდომების ხარჯზე მივაღწიეთ და, ვფიქრობ, ამას ნამდვილად ვიმსახურებდით. შანსი შევინარჩუნეთ, რომლის გამოყენებასაც სტუმრად ვეცდებით“.

„სარტიდის“ თავკაცი რატკო დოსტანიჩი: „შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ დასანანია, რომ გამარჯვება ხელიდან დაგვისხლტა. ჩვენ მხოლოდ ერთი შეცდომა დავუშვით და გოლად დაგვიჯდა. ჩემი აზრით, შემდეგ ეტაპზე „სარტიდი“ უნდა გავიდეს“.

მატჩის შემდეგ ბოსნიელ ფანთა აგრესიულმა ნაწილმა სტუმართა ავტობუსის შტურმით აღება სცადა, მაგრამ პოლიცია საქმეში ჩაერია და და ეს ამბავი მხოლოდ რამოდენიმე მსუბუქი ავტომობილის დამტვრევით დასრულდა.

ვაჟა ხუციშვილი

უეფას თასი

UEFA CUP საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები UEFA CUP

ჰაკა (ფინეთი) 2:1 **ჰაიდუკი** (ხორვატია)
ლა ვალეტა (მალტა) 0:2 **ქსამაქსი** (შვეიცარია)
სარაევო (ბოსნია) 1:1 **სარტიდი** (სერბეთი)





პატრიკ ვიეირამ და რობერ პირესმა არსენ ვენგერს უერთგულეს

ორლუღიანი კონტრაქტი ლონდონში

ისევაც ცხელ ზაფხულში ლონდონის „არსენალის“ ქომაგებს ჭირის ოფლიც სდიოდათ. წავლენ თუ დარჩებიან? ისინი პატრიკ ვიეირასა და რობერ პირესის გამო ნერვიულობდნენ. აგერ, სეზონის პირველი მატჩიც ითამაშა „არსენალმა“ „მანჩესტერთან“ და ორივე ფრანგი მოედანზე იყო. ეს უკვე ნიშნავდა, რომ ისინი ლონდონში რჩებოდნენ და ასეც მოხდა.

მადრიდის „რეალში“ პატრიკ ვიეირას შესაძლო გადასვლაზე ჭორებს ბოლო მოელო, რობერ პირესიც აღარ აპირებს გუნდის გამოცვლას და ორივემ არსენ ვენგერს და „არსენალს“ ერთგულება შეჰფიცა.

ჯერა 2007 წლამდე, პირესი 2006-მდე „მეთოფეები“ იქნებიან და გულშემატკივრებს კვლავაც გაახარებენ.

ახალ კონტრაქტზე ხელმოწერის შემდეგ ფრანგებმა დაახლოებით ერთნაირად ილაპარაკეს და მათი გაერთიანებული ნათქვამი ასე ჟღერს: „ლონდონში მშვენიერად ვართ და არსენ ვენგერთან ერთად ჯილდოების მოგებას ვაპირებთ. კარგია, რომ ჩვენი მომავლის გარშემო ატეხილ აურზაურს წერტილი დაესვა. ახლა შეგვიძლია, მშვიდად ვიბრძოლოთ ჩემპიონობისთვის და ჩემპიონთა ლიგაში უკეთესი შედეგისთვის“.

არსენ ვენგერი: „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ბიჭები აქ დარჩებოდნენ. ორივე უმნიშვნელოვანესი ფიგურაა ჩემს გუნდში და მათთან მუშაობას ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა“.

ვაჟა ხუციშვილი

ნიკოლ-ჯოუ ფრთხილად, ქალო!

მშვენიერო, რად ხარ ასე უგულო?

დღეს ფეხბურთის ისტორიაში 36 წლის შვეიცარიელი ნიკოლ პეტინია შევა. შვედეთის ქალაქ სოლნაში აიკი ისლანდიურ „ფილკირს“ უმასპინძლებს. მატჩის მთავარი მსაჯი ქალი იქნება. მსგავსი რამ ევროთასებზე არასოდეს მომხდარა.

„ფანტასტიკაა! — აღმოხდა ნიკოლს, როდესაც ეს ამბავი შეიტყო. 20 წელიწადი გავატარე ფეხბურთში, მაგრამ ასეთ დონეზე მთავარ არბიტრობაზე ვერც ვოცნებებდი“.

ნიკოლ პეტინია შვეიცარიის ერთ კოხტა სოფელში დაიბადა. ფეხბურთით იმიტომ დაინტერესდა, რომ ფრენბურთის სექციაში მისულს კარი მიუხურეს. ქალ ფეხბურთელთა პირველი დივიზიონის გუნდ „რენანში“ ორი სეზონი (1983-85) გაატარა.

მსაჯის ხელობას დამ აზიარა. 16 წლისამ ლიცენზია აიღო, 1996-ში კი კაცებშიც გაერია — მეორე ლიგის მატჩში მთავარი მსაჯობა დაეკისრა. სასტვენი მისი მთავარი საქმე არაა. იგი ლოზანის კონსერვატორიის პედაგოგია.

1999 წლის 30 მისს კიდევ ერთი ნაბიჯით დაწინაურდა — შვეიცარიის უმაღლეს ლიგაში „ქსამაქსის“ და „ბაზელის“ შეხვედრაში იმსაჯა.

„ფეხბურთელები გულთბილად შემხვდნენ და როცა დაბნეულობას შემამჩნევდნენ, მამხნევებდნენ. მათი საქციელით ისეთი დავალებული ვიყავი, რომ ყვითელი ბარათისთვის ჯიბისკენ ხელის წაღება არც მიფიქრია“ — გაიხსენა ნიკოლმა.

მოედანზე პეტინია მკაცრი არაა. „წითელი ბარათის ჩვენება იშვიათად მიხდება. მოთამაშის გაძევებამდე მომხდარს ჯეროვნად შევაფასებ და გადაწყვეტილებას მერედა ვიღებ. ხანდახან ფეხბურთელები „მისტერ რეფერის“ მეძახიან და ამ მომენტში ვბრაზდები. მე ხომ უპირველესად ქალი ვარ“.

ქალურობა განსაკუთრებით ნამატჩევს იღვიძებს და გასახდელში მიმავალი, გზად მოთამაშეებს იმ სუნამოს მარკის გამოცნობას სთხოვს, რომლის სურნელსაც ნიკოლ პეტინია მოედანზე აფრქვევს. აი, შვეიცარიელი ქალი.

ვაჟა ხუციშვილი

ნიკოლ პეტინია

TIM CUP. სამთა მინი-ტურნირი (ანკონაში)

მილანი 0:1 იუვენტუსი

0:1 აპია (30)

მილანი: დიდა, შიმიჩი, როკე ფუნიორი, მალდინი, პანკარო, ამბროზინი, რედონდო, ზეედორფი, რუი კოშტა, სერგინიო, ინძაგი

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, მონტერო, იულიანო, პესოტო, აპია, კონტე, მარესკა, ნედვედი, დი ვაიო, ოლივერა

გაფრთხილება: ამბროზინი

მსაჯი: ნუჩინი

მილანი 0:1 ინტერი

0:1 კალონი (4)

მილანი: აბიატი, კაფუ, ნესტა, ლაურსენი, კპლაძე, ბროკი, პირლო, ზეედორფი, რუი კოშტა, ბორიელო, ინძაგი

ინტერი: ტოლდო, პელეგი, კორდობა (ადანი 18), მატერაცი, კოკო (პასკუალე 20), ლუსიანო, ხ. ძანეტი, ლამუში, ვან დერ მეიდე, ვიერი, კალონი

გაფრთხილება: კპლაძე, ვიერი

მსაჯი: დონდარინი

იუვენტუსი 0:1 ინტერი

0:1 კრესპო (3)

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო (დი ვაიო 16), ძამბროტა, კამორანეზი, ტაკინარდი, ტუდორი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო

ინტერი: ტოლდო, პელეგი (პოტენცა 27), ადანი, მატერაცი, პასკუალე, ლუსიანო (ოკანი 23), ხ. ძანეტი, ლამუში, ვან დერ მეიდე (რებეკი 30), ვიერი (რეკობა 33), კრესპო

მსაჯი: მორგანტი

ორი ტელეკომის თასისთვის ჯალაძე გაინ-გამოინია

თასი „ინტერის“ კაპიტანმა ხავიერ ძანეტიმ ჩაიბარა

„ინტერმა“ იტალიის ტელეკომის, TIM-ის თასი მოიგო. ამ ჯილდოსთვის „შავ-ლურჯებს“ ძველი მეტოქეები, „მილანი“ და „იუვენტუსი“ ებრძოდნენ. ისინი ანკონაში „დელ კონერის“ სტადიონზე სამ 45 წუთიან შეხვედრაში ცდილობენ ძალას და უნდა ითქვას, რომ ბურთაობის ეშხში შესულნი ერთმანთს მაინცდამაინც ფაქიზად არ ეპყრობოდნენ. „მილანს“ არ ჰყავდა ანდრეი შევჩენკო, რივალდო და ჯენარო გატუზო, რომლებსაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ და ამის გამო კარლო ანჩელოტიმ 4-2-3-1 განლაგება მოსინჯა — შეგახსენებთ, ეს სქემა დაახლოებით ერთი წლის წინ, ჩემპიონთა ლიგის საწყის ეტაპზე „შავ-წითლების“ შესრულებით ფრიად ეფექტური გამოდგა.

პირველ მატჩში „მილანს“ „იუვენტუსი“ დაუპირისპირდა და მისი მეკარე დიდა რუბენ ოლივერას, ენცო მარესკას და პაველ ნედვედის დარტყმებით გამოსცადა. „შავ-წითელთა“ მხრივ მომენტები ჰქონდათ კლარენს ზეედორფსა და ფილიპო ინძაგის და მაინც, შეხვედრა „იუვენტუსმა“ მოიგო. ფრიად ლამაზი გოლი „ბებერი ქალბატონის“ ახალწვეულმა სტეფან აპიამ შეაგდო: განელმა ნახევარმცველმა მარჯვენა ფეხით ოსტატურად დაიმორჩილა ბურთი და შემდეგ მარცხენათი დაარტყა.

ამ მატჩის შედეგის გამო მეორე 45 წუთი მილანური დერბი გამოდგა. „ინტერის“ თავდასხმაში კრისტიან ვიერი და მოჰამედ კალონი თამაშობდნენ მხარდამხარ (ამომავალი ვარსკვლავი ობაფემი მარტინსი დაასვენეს), მოედანს დაუბრუნდა ნამკურნალევი ანდი ვან დერ მეიდე, ლუსიანო კი ფრთაზე გამოვიდა.

რაც შეეხება „მილანს“, მან ზემოხსენებული განლაგება კლასიკური 4-4-2-ით შეცვალა და ინძაგის მხარდამხარ მარკო ბორიელო გამოიყვანა.

გოლის გასატანად კალონს ოთხად ოთხი წუთი დასჭირდა. მის მიერ მარჯვენათი დარტყმული ბურთი ალესანდრო ნესტას მოხვდა და „მილანის“ ბადეში შეავარდა. იყო ტრავმებიც: ივან კორდობამ მარცხენა კოჭი იტკინა, ხოლო ფრანჩესკო კოკომ მუხლის მყესი — 22 წუთში შესაცვლელი შეიქნა. სამწუხაროდ, მოგვიანებით ჩატარებულმა სტაციონარულმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ კოკო, სხვათა შორის, ყოფილი მილანელი, რამდენიმე თვე ვერ ითამაშებს.

ხოლო ქართველ კახა კალაძეზე იმის თქმა შეგვიძლია, რომ კრისტიან ვიერისთან ჰქონდა გაწევ-გამოწევა, გაწევ-გამოწევა ჰქონდათ მარკო მატერაცისა და ინძაგისაც. თამაშის შემდეგ ანჩელოტიმ ასეთი რამ თქვა:

„სამწუხაროდ, კარგად მოგვეხსენება, მატერაცი რა ვაჟკაციც ბრძანდება. მისი ზნის შეცვლა ყოვლად შეუძლებელია“.

ერთი სიტყვით, „მილანმა“ ეს შეხვედრაც 0:1 წააგო და ბოლო 45 წუთი „ინტერსა“ და „იუვეს“ დაუთმო. ამ თამაშში კალონი ერნან კრესპომ შეცვალა.

„იუვენტუსის“ მხრივ ამ 45 წუთში მომენტები ნედვედმა, მაურო კამორანეზიმ და ედგარ დავიდსმა შექმნეს. „ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელს, მარჩელო ლიპის შეტევაში ალექს დელ პიეროს იმედი ჰქონდა, რადგან ფაბრიციო მიკოლი და დავიდ ტრეზეგე ხელქვეით არ ჰყავდა.

კრესპოს გოლით გაიმარჯვა „ინტერმა“, რომელმაც თასი თავისი ლეგენდარული პრეზიდენტის, ანჯელო მორატის (ახლანდელი პრეზიდენტის, მასიმო მორატის მამის) გარდაცვალების მორიგ წლისთავს და ნათელ ხსოვნას მიუძღვნა.

პაპუნა კედია



საჭეს ისეთი პირი უჭირავს, ფაბიო კაპელო ოცნებას აიხდენს: ედგარ დავიდს რომში ჩაიყვანს

ქომაგი ორმოცდაცამეტიდან

დავიდსი რომაში? მაშ, ჩემპიონი რომა გახდება!

„იუვენტუსის“ პრეზიდენტად არჩიეს ფრანკო გრანდე სტევენსი. ორნა პრეზიდენტი, ვიტორიო კუზანი, 75 წლისა, მოგეხსენებათ, გუნდის პრობლემათა გამო ერთ-ერთ ერიმი კლინიკაში გასულ კვირას გარდაიცვალა.

„გუნდის საქმეებში არ ჩავერევი — განაცხადა ახალარჩეულმა პრეზიდენტმა, პროფესიით ვეჭილმა, ანიელების ოჯახის ახლო მეგობარმა — მე მხოლოდ იმას გავაკეთებ, რასაც ჩემგან მოითხოვენ“.

ადვოკატი ფრანკო გრანდე სტევენსი 1928 წლის 13 სექტემბერს ნეაპოლში გახლავთ დაბადებული, თუმცა...

„მე „იუვენტუსის“ ქომაგი 1953 წლიდან გახლავართ, იმ დღიდან, როდესაც ტურინში გადმოვბარგდი“ — ამბობს ახალი პრეზიდენტი.

გუნდი საქმეებში არ ჩაევერევიო თქვა, მაგრამ ჰოლანდიელ ნახევარმცველს, ედგარ დავიდსს კი მკაფიოდ განუცხადა, რომ შეუძლია ნებისმიერ გუნდში გადავიდეს, ხოლო დავიდსმა პირველი, რაც გააკეთა, „ჩელსის“ წინადადებაზე უარის თქმა და „რომას“ დალოდება გახლავთ.

„დავიდსი დიდი ფეხბურთელია, — ბრძანა ახალმა შეფმა — მართალია, მე ბედნიერი ვიქნებოდი, მასთან ახალი კონტრაქტი რომ გამეფორმებინა და კარიერაც საბოლოოდ აქ, ტურინში დაესრულებინა, მაგრამ მას წასვლა უნდა და რა ვუყოთ, წავიდეს. თუმცა, მინდა გითხრათ, რომ სტეფან აპია დავიდსის თანაბარძალოვან შემცვლელზე მეტია“.

დღეს ირკვევა, რომ დავიდსი „რომას“ ხელმძღვანელებთან ყოფილა გარიგებული, ოღონდ საგაისო ტრანსფერზე. ანუ, იმის თქმა გვინდა, რომ ჰოლანდიელის გეგმის თანახმად, იგი „იუვენტუსთან“ კონტრაქტს არ განაახლებდა, „ბებერი ქალბატონის“ სასარგებლოდ ერთ სეზონსაც გულწრფელად ითამაშებდა და გაისად, თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდოდა „რომაში“. ამით, ერთი რომ, „რომა“ ტრანსფერის ფულს დაზოგავდა და მეორე, დაზოგილი თანხის ნაწილით თავად დავიდსს დაუნიშნავდა ლომის წილ ხელფასს.

შეგახსენებთ, რომ „რომას“ სახელოვან მწვრთნელს, ფაბიო კაპელოს დავიდსი განსაკუთრებული ძალის ფეხბურთელად მიაჩნია და ნათქვამიც კი აქვს, „იუვენტუსი“ ჩემპიონი იმიტომ ხდება, რომ დავიდსი ჰყავსო. ჰოლანდიელზე ასეთივე წარმოდგენა აქვს „რომას“ კაპიტანს ფრანჩესკო ტოტის.

„იუვენტუსის“ რეაქციაც ყოველივე ამაზე გასაგებია — კლუბს, ბუნებრივია, ფულის დაკარგვა არ სურს და უჯობს, ნახევარმცველი დღესვე გაყიდოს, ვიდრე ერთი წელიწადიც ამსახუროს და მერე გაიჩუქოს. ვნახოთ, რას მოიფიქრებენ. ამბობენ, „იუვე“ და „რომა“ იძულებულნი გახდებიან, რაღაც თანხაზე სწრაფად შეთანხმდნენ და ხელი ხელს დაჭერანო. ამბობენ იმასაც, რომ ამ რაღაც თანხის მოგროვებას რომაელები ბრაზილიელი ემერსონის კიდევ უფრო სასწრაფოდ „ჩელსიში“ ან „ბარსელონაში“ გაშვებით შეძლებენო.

„იუვეს“ ახალი პრეზიდენტი კი ბრძანებს:

„ჩვენი ოცნება დეიან სტანკოვიჩის შეძენაა. „ლაციოს“ ნახევარმცველი ჯადოსნური ფეხბურთელია“.

პაპუნა კედია

ბოლო ვინ არის? კრესპო

„ჩელსის“ მიერ ჩამოთვლილ უკვე ნაყიდ და მომავალში საყიდელ ფეხბურთელთა შორის ბოლო „ინტერის“ არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპოა. იტალიური გაზეთების ცნობით, გამდიდრებულ სტემფორდბრიჯელებს ამ ზაფხულის ნავაჭრის შეჯამება თუ დასრულება, ერთი სიტყვით, ბაზრობისთვის წერტილის დასმა კრესპოს ყიდვით უნდათ.

ვინ იყიდეს რუსი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის ფულით გამძლავრებულმა ლონდონელებმა? დაფი, ნჯიტაპი, კოული, ვერონი, ჯონსონი, ბრიჯი და მუტუ — მართლაც შთამბეჭდავი ჩამონათვალია.

„ინტერსა“ და აბრამოვიჩს ახლახან უკვე ჰქონდათ ურთიერთობა, აბრამოვიჩს ვიერის ყიდვა უნდოდა, „ინტერმა“ არ მიჰყიდა.

პაპუნა კედია

მოითმინე, ვირო!

„კიევოს“ თავკაცი, ლუიჯი დელ ნერი ამბობს, რომ სეზონისწინა ამბებით მაინცდამაინც უკმაყოფილო არ არის, არადა, ბოლო რამდენიმე კვირაა, „მფრინავი ვირები“ საკონტროლო შეხვედრებს აგებენ და აგებენ.

„ვერ ვიტყვი, რომ გუნდმა მიღალატა — ამბობს დელ ნერი — ბოლოს და ბოლოს, ჯერ მხოლოდ აგვისტოა. თუ მოვითმინეთ, სასურველი შედეგიც მოვა“.

რაც შეეხება რობერტო ბარონიოს ყიდვას, ამ ამბავს მწვრთნელი კმაყოფილების ღიმილით ეხმაურება“:

„ბარონიო ჩვენს თამაშს დამატებით ელემენტებს შესძენს, ისეთებს, როგორიც „კიევოს“ არ ჰქონია“.

ბარონიომ, წესით, ეუჯენიო კორინი უნდა შეცვალოს. კორინიმ ვერონა სერია B-ს „პალერმოს“ გამო დატოვა.

პაპუნა კედია

მაკაის საქმე გაიხსნა

ბაიერნში მიდიხარ და რად გინდა ხელფასი?!

წამსვლელი ალბათ ელბერია

როი მაკაის მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლა კარგა ხანს რომ გაიწელა, გეხსომებათ. ხოლო ახლა, როდესაც ყველაფერი რიგზეა და „ბაიერნმა“ თავის ისტორიაში ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი შეიძინა (21.2 მილიონი ევრო), სიმართლეს ფარდა აეხადა და ამ ტრანსფერის გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც გაცხადდა

საქმე ისაა, რომ „დეპორტივოს“ პრეზიდენტი აუგუსტო სეზარ ლენდოირო თურმე მაკაის აიძულებდა, ივლისის ხელფასზე უარი ეთქვა და საბოლოოდ თავის მიზანს მიაღწია კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში აუგუსტო ლენდოირო ჰოლანდიელს „ბაიერნში“ ტრანსფერის ჩაშლით ემუქრებოდა.

ამ ფაქტით უკმაყოფილო გერმანელები აპირებდნენ ფიფაში ეჩივლათ და „დეპორტივოს“ საბუღალტრო ანგარიშების გადახედვა მოეთხოვათ.

ამავდროულად, მაკაის ტრანსფერმა შესაძლოა, ჯოვანი ელბერის მიუნხენურ კარიერას წერტილი დაუსვას. როგორც გერმანული პრესა იუწყება, ჰოლანდიელი თავდამსხმელის „ბაიერნში“ გადასვლის გამო გუნდის დატოვება კლაუდიო პიზაროს ან ჯოვანი ელბერს მოუწევს და მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიელი გასულ სეზონში 21 გოლით ბუნდესლიგის ბომბარდირი გახდა.

„ბაიერნის“ კომერციულმა მენეჯერმა ული ჰაინესმა ამ ამბავს თითქოს უცნაური, მაგრამ გასაგები კომენტარი დაურთო. „თუ ელბერი რამეთი უკმაყოფილო იქნება და წასვლას მოისურვებს, ჩვენ მას ხელს არ შევუშლით. უბრალოდ, წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: შაბათს „ბოხუმთან“ მატჩში მაკაის გააქვს ოთხი გოლი, პიზაროს კი სამი... მაშინ ჩვენ უნდა დავსხდეთ და დავილაპარაკოთ. მე ამისთვის მზად ვარ“.

ული ჰაინესის ამ ნაწინასწარმეტყველებიდან კარგად ჩანს, რომ „ბაიერნი“ მართლაც მზად არის ჯოვანი ელბერთან განსაშორებლად. მეტიც, ეგებ უნდა კიდეც, რომ ეს მოხდეს. თავის მხრივ, 31 წლის ბრაზილიელი ამბობს, შესაძლოა, კარიერა ბერლინის „ჰერტაში“ გავაგრძელოო.

აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ „ბაიერნისა“ და გერმანული ფეხბურთის ლეგენდამ, ფრანც ბეკენბაუერმა კიდევ ერთი საქმე შეითავსა.



ჯოვანი ელბერი

აუგუსტო ლენდოირო

„კაიზერ ფრანცმა“ ტელეკომპანია „ZDF“-თან გააფორმა კონტრაქტი და ამიერიდან თავს კომენტატორის როლშიც გამოცდის. იგი თავის აზრს გამოთქვამს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე, 2005 წლის კონფედერაციის თასსა და 2006 წლის მუნდიალზე.

ბეკენბაუერის ძველ პოსტებსა და მოვალეობებს, რომლებიც, როგორც მოგეხსენებათ, მრავლადაა, თავი დავანებოთ და მის ამჟამინდელ თანამდებობებზე ვთქვათ. ამ დროისთვის იგი „ბაიერნის“ დამკვირვებელთა საბჭოსა და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეა.

გიორგი ძაძაბაძე

ამხანაგური მატჩი

ნიურნბერგი 0:2 ბაიერნი

0:1 ელბერი (43), 0:2 დაისლერი (80)

ნიურნბერგი: კამპა (შიოფერი 46), ვიბლიშაუზერი, რაფაელი, ვოლფი (შტელე 46), პასლაკი (კუკიელკა 46), მინტალი (კიოგლერი 46), ლარსენი (იაროლიმი 46), ნიკლი (ფერნანდო 46), მიულერი, დრილერი (ჯაისნერი 59), უდი (ვლადემირი 46)

ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი, დეშიკელისი (ლინკე 46), კუფური, ლიზარაზუ (რაუ 70), დაისლერი, იერემისი, შვაინსტაიგერი (პარგრივსი 46), ზე რობერტო (ფიულნერი 70), ელბერი (ტროხოვსკი 70), მაკაი (მისიმოვიჩი 70)

მსაჯი: შმიტდი

29 102 მაყურებელი

ვიპოვეთ!

ჭარდელმა ბოლტონს კოშკები აუგო

„ბოლტონი“ წინა სეზონში პრემიერლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა, არადა, გუნდი საკმაოდ კარგი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და, წესით, უფრო მაღალი მიზნებისთვის უნდა ებრძოლა. ყოველ შემთხვევაში, ახლა მაინც ეს ასე უნდა იყოს, რადგანაც „უინდერერსში“ კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი, ევროპაში მოთამაშე ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდი, ბრაზილელი ბომბდამშენი მარიო ჟარდელი გადაბარგდა.

გოლის შესაშური ალღოთი დაჯილდოებულმა 29 წლის თავდამსხმელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა „ბოლტონთან“ და თუ შაბათს სამედიცინო შემოწმებას გაივლის, პრემიერლიგის პირველივე ტურში მოედანზე გავა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარს შეუტევს.

სიხარულს ვერ ფარავს და უკვე ოცნების კოშკებს აგებს „ბოლტონის“ თავკაცი სემ ოლარდაი: „ჟარდელის დონის ფეხბურთელის ყოლა დიდი ბედნიერებაა. ეს ამ სეზონში ჩვენს პროგრესს გამოიწვევს. იგი ევროპაში ბრწყინვალე რეკორდის ავტორია და მჯერა, რომ შეუძლია, იგივე გაიმეოროს. მარიოს დარი გოლის ალღოს მქონე თავდამსხმელი მსოფლიოში არ მეგულება. ჩვენ ვიპოვეთ ფორვარდი, რომელიც რეგულარულად დალაშქრავს მეტოქეთა კარს. გარდა ამისა, იგი ისეთი სტილის მოთამაშეა, რომ თანგუნდელების აყოლიებასაც შეძლებს“.

თავისი ახალი მწვრთნელივით ემოციური იყო ბრაზილიელიც: „აქ ჩემი კარიერის სწორი მიმართულებით გაგრძელების კარგი შანსი მაქვს. ჯერ კიდევ შემწევს ბევრი გოლის გატანის ძალა. მინდა, რომ „ბოლტონის“ გმირი და პრემიერლიგის ბომბარდირი გავხდე. ინგლისში თამაში ყოველთვის მსურდა. ჩემი აზრით, ეს მსოფლიოს საუკეთესო ლიგაა. „ბოლტონი“ ჩინებული კლუბია და მასში არაერთი ბრწყინვალე მოთამაშეა. ევროპაში გუნდს კარგი სახელი აქვს. ხოლო ისეთი ფეხბურთელებით, როგორებიც არიან ჯეი ჯეი ოკოჩა, იური ჯორკაეფი და ივან კამპო, ჩვენ შეგვიძლია მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა“.

შეგახსენებთ, რომ ჟარდელი აქამდე პორტუგალიურ „პორტუსა“ და „სპორტინგში“, ასევე თურქულ „გალათასარაიში“ თამაშობდა. „ბოლტონში“ იგი ლისაბონის „სპორტინგიდან“ გადავიდა.

უმეტეს შემთხვევაში ჟარდელს თავის გუნდსა და ჩემპიონატში ყველაზე მეტი გოლი გაჰქონდა. გარდა ამისა, ყოველ სეზონში იგი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ბომბარდირად გვევლინებოდა, ხოლო ერთხელ „ოქროს ბუცის“ მფლობელიც გახდა.

პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიელის შეძენა „ბარსელონას“, „მანჩესტერსა“ და სხვა დიდი გუნდებს სურდათ, მაგრამ მისი ადგილი არც რომელიმე ევროპულ გრანდში გამოინახა და არც ეროვნულ ნაკრებში.

მიუხედავად ამისა, ჟარდელმა მოახერხა და უკვე დაიმკიდრა თავისი ადგილი მსოფლიო ფეხბურთში. ახლა კი იგი „ბოლტონ უინდერერსშია“ და მომავალი სეზონისთვის ემზადება. ასე რომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ პრემიერლიგის მომავალი სეზონის ბომბარდირთა სიაში პირველ ნომრად არა რუუდ ვან ნისტელროის ან ტიერი ანრის, არამედ ჟარდელის გვარს ამოიკითხავთ.

გიორგი ძაძაბაძე



არეულობა სამეფო კარზე

სრული ბედნიერებისთვის ჯამაგირის მომატებაა საჭირო

აზიიდან დაბრუნებულ მადრიდის „რეალში“ გუშინ მცირე აჯანყება მოხდა. კლოდ მაკელელეს აგენტს დევიდ ბექემის, ზინედინ ზიდანის, რონალდოს, ფიგუს, რაულისა და რობერტო კარლოსის ხელფასები დაესიზმრა. აგენტი მარკ როჯერიც ადგა და ხორხე ვალდანოს კაბინეტის კარს მიადგა. არგენტინელმა როჯერი მიიღო და მოუსმინა.

„ჩემს კლიენტს ჯამაგირს თუ არ მოუმატებთ, მადრიდიდან წავალთ. იცით, რამდენი დიდი კლუბი გვეპატიჟება? ინგლისიდან „ჩელსი“, იტალიიდან კი „მილანი“ იხვეწება“.

ესპანური „მარკას“ ცნობით, რომან აბრამოვიჩი 30 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ მადრიდელებს ათ მილიონ ევროს სთავაზობს და თავად მაკელელეს გაცილებით მეტ ყოველწლიურ ხელფასს, ვიდრე „რეალი“ უხდის.

„ის საუკეთესოა თავის ამპლუაში. მას მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. კლოდი ბედნიერია, როგორც „რეალის“ ფეხბურთელი, რადგან ვარსკვლავების გვერდით თამაშობს, მაგრამ ვარსკვლავებთან თამაშით პურს ვერ შეჭამ. მაკელელე თავის ანაზღაურებით უკმაყოფილოა“ — დასძინა მარკ როჯერმა.

აგენტმა მთავარი ბოლოს თქვა: „მადრიდის „რეალის“ პატრონმა კარგად იცის, ის ფეხბურთელი, რომელიც ბედნიერი არაა, კარგი მოთამაშე ვერ იქნება. სრული ბედნიერებისთვის კი ჯამაგირის მომატებაა საჭირო!“.

ვაჟა ხუციშვილი

...და ან ცაზე ვარსკვლავები

დიდიე დეშანი



გავკადნიერდით და დიდიე დეშანზე თხრობა „სარბიელის" ორ ნომერში გადავწყვიტეთ. რატომ? ასეთი უპირატესობა ხომ კრუიფისთვის, პლატინისთვის და ბეკენბაუერისთვის არ მიგვინიჭებია?

დიახ, მართალი ბრძანდებით, არ მიგვინიჭებია, მაგრამ აქ, რამდენიმე მომენტია. ერთი გახლავთ თავად „მასალა", რომელსაც გადავაწყდით და თავად გაეცნობით. ვფიქრობთ, ასეთი ავტობიოგრაფია ყოველთვის საინტერესოა, მეორე კი...

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონი, ევროპის 2000 წლის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის ორგზის (1993, 1996) გამარჯვებული და ორგზის ფინალისტი (1997, 1998), უეფას თასის ფინალისტი (1995), ევროპის სუპერთასის მფლობელი (1996), საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1996), საფრანგეთის ჩემპიონი (1990, 1992), იტალიის ჩემპიონი (1995, 1997, 1998), იტალიის თასის მფლობელი (1995), იტალიის სუპერთასის მფლობელი (1995, 1997) და სხვა მრავალი შედეგის ავტორი ორი საგაზეთო გვერდს, ალბათ, მაინც იმსახურებს

...დედა მიამბობს, როდესაც დავბადებულვარ, სანიტრებს მამაჩემის ძებნაში მთელი სამშობიარო მოურბენიათ, მაგრამ ვერ უპოვნიათ და ისევ დედასთან მისულან: „სად დაიკარგა ნეტავ თქვენი ქმარი?" ის კი სანადიროდ წასულა. ალბათ, ზედმეტ ნერვიულობას ველარ გაუძლო.

ისევე როგორც მთელი ჩემი ოჯახი, მამაჩემიც სოფლელია, სივრცეების და სუფთა ჰაერის კაცი. თავის დროზე მუშათა დეპარტამენტში მლებავად მუშაობდა, შაბათ-კვირას კი აუცილებლად სეირნობდა სოფელში. სპორტს რაც შეეხება, რაგბი უყვარს, ოდესღაც „ბიარიც ოლიმპიკში" მერვე ნომერი იყო, მაგრამ 14 წლისამ ფეხბურთზე რომ შევაჩერე არჩევანი, მენდო, ხელი არ შეუშლია.

ასევე მოიქცა დედაც, რომელიც ყოველთვის მხარში მედგა.

სკოლაში კი, უნდა გითხრათ, რომ ცუდად არ ვსწავლობდი. განსაკუთრებით მათემატიკა მეხერხებოდა, თუმცა საუკეთესო მოგონებები მამასთან ერთად ნადირობასთან გახლავთ დაკავშირებული. სანადიროდ დადიოდა ჩემი ძმაც. ალბათ, მაშინ შემიყვარდა ფეხით დიდხანს და ანგარიშმიუცემლად სიარული.

– მე და კლაუდიმ ერთმანეთი ნანტში, წვეულებაზე გავიცანით. მაშინ „ნანტში" ვთამაშობდი, კლაუდის მამა კი კონკარნოში კლუბის ერთ-ერთი დირექტორი იყო. ახლა იქნებ გულუბრყვილოდ გეჩვენოთ, მაგრამ როგორც კი დავინახე, მივხვდი, რომ ჩემს წინაშე ჩემი მომავალი მეუღლე იდგა, მე 17 წლის ვიყავი, ის 19-ის. ის დასთან ერთად ცხოვრობდა, მე ფეხბურთის აკადემიაში ვსწავლობდი, დაკავებული გახლდით, მაგრამ მაინც ვახერხებდით ხშირად შეხვედრას, ქორწინებაზე ბევრი არ გვიყოყმანია.

საერთოდ, კლაუდი ნამდვილი ბრეტანელია და თავისი კუთხე მეტისმეტად უყვარს, მაგრამ როდესაც ცხოვრებამ ყველაფრის დატოვება და ჩემთან ერთად წამოსვლა მოსთხოვა, ადგა და წამომყვა. იცით, ფეხბურთელის ცოლობა ძალიან ძნელია, მაგრამ ჩემი კარიერა მის გარეშე არ შედგებოდა. ნაბიჯ-ნაბიჯ ერთად მივიკვლევდით გზას ცხოვრებაში, დაწყებული თვეში 2 800 ფრანკიდან, დღევანდელ მდგომარეობამდე, მასზე კარგი კრიტიკოსი მე არ მყავს, ჩვენი ვაჟი და კლაუდი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ადამიანები არიან.

სხთავა შორის, ჩემი ვაჟი, დილანი, რომლისთვისაც ფეხბურთი მხოლოდ მამიკო ისევ სახლიდან წავიდას ნიშნავს და მეტს არაფერს, 1996 წლის 14 მაისს დაიბადა, ანუ ამ უბედნიერესი დღიდან ერთ კვირაში „იუვენტუსის" შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა მოვიგე. ეს იყო მეორე „ლიგა" ჩემს ცხოვრებაში — პირველი „მარსელში" მოვიპოვე.

დიახ, მე და კლაუდი შვილის ყოლისგან თავს დიდხანს ვიკავებდით, რის გამოც ჩემს მშობლებს მოსვენება ჰქონდათ დაკარგული, მაგრამ გვსურდა მშობლობას მომზადებულნი შეეხვედროდით. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ მთელი ცხოვრება დილანის გარშემო მაქვს ორგანიზებული.

...რაც სახლს მოვწყდი, ანუ 14 წლიდან, ვიგრძენი, თუ როგორ გახლავართ მიბმული ჩემს ბასკეთზე. იქ, ხალხი ალალი და პირდაპირია, კაცები ხანდახან, მართალია, შესაძლოა უხეშებად ან მძიმეებად მოგეჩვენონ, მაგრამ მათ სიწრფელეში ეჭვს ვერ შეიტან. ჩემი ხასათი ბასკეთიდან მოდის — თუ მიზანი დავისახე, მორჩა, ველარაფერი გადამათქმევინებს და დამახვევინებს უკან, ჩვენში ხშირად ამბობენ, ესა და ეს ჯორიაო. იცით, ბავშვობიდან უფრო ხელმოცარული ბიჭი ვიყავი, მაგრამ ჯორივით გავჯიუტდი და მებრძოლი სულიც გამოვიმუშავე.

საერთოდ, კუთხეები საფრანგეთში განსხვავებულია. მაგალითად, ჩემი ცოლის სამშობლოში, ბრეტანში ხალხი უფრო ბასკებს ჩამოჰგავს, მარსელი კი სხვაა... მაგრამ ჩემს გულში საგანგებო ადგილი უჭირავს. მე და კლაუდის იქ დღემდე ბევრი მეგობარი დაგვრჩა და ხშირადაც ვურეკავთ. იცით, ვარ-

ჯიშის შემდეგ ჩავხტებოდით ხოლმე მანქანაში და გავეშურებოდით შინისკენ, მშვიდი გარემოსკენ. ხშირად ქალაქგარეთ, ბარბეკიუს ვაწყობდით მეგობრებთან ერთად. შემდეგ, ტურინსა და ლონდონში ეს ყოველად წარმოუდგენლად და უცნაურად ჩანდა. მარსელი ყოველთვის მენატრება.

...ფილიპი ჩემს უფროს ძმას ერქვა. 18 წლის რომ ვიყავი, შობამდე სამი დღით ადრე ის თვითმფრინავით, ბრიუსელ-ბორდოს რეისით მგზავრობდა და... ავიაკატასტროფაში დაიღუპა. რა ვთქვა? ჩემს ცხოვრებაში გაჩნდა სიცარიელე, რომელსაც ვერასდროს ვერაფერი შეავსებს. მისი დაღუპვა კონკარნოში, სიდედრ-სიმამრთან საშობაო სტუმრობისას შევიტყვე და... სამ დღეში ჩემი სიმამრიც გარდაიცვალა. დარწმუნებული ვარ, ჩემი ძმის ამბავი განიცადა. მას მერე, დილანის დაბადებამდე შობა ჩემთვის უსევდიანეს დღედ იყო ქცეული.

...ბავშვობაში მძლეოსნობა მიტაცებდა და თანატოლებში ბევრი ჯილდოც მომიგია, მაგალითად, კილომეტრზე სირბილში საფრანგეთის ჩემპიონი გავხდი, მაშინ 13 წლის ვიყავი და ფეხბურთზე არ ვფიქრობდი. ერთ დღეს ჩემი დღემდე განუყრელი მეგობარი, მანიუ მოვიდა და მითხრა, ჩემს მშობლებს ჩემი „ბაიონში" მიყვანა უნდათ და ხომ არ წამოხვიდოდიო. დავთანხმდი.

შემდეგ, ჩემი თამაშის სანახავად დიდმა კაცებმა საგანგებოდ დაიწყეს სიარული. მწვრთნელი 9 ნომრად მათამაშებდა და 14 წლამდე ცენტრფორვარდი გახლდით. მგონი, ერთ სეზონში 70 გოლი გავიტანე და... სრულიად გულწრფელად გეუბნებით, ამ საქმის არაფერი მომეწონა, რადგან ყველაფერი ძალიან იოლად გამომდიოდა. მე ხომ ტანად სხვებზე ...ორჯერ დიდი ვიყავი. მოგვიანებით, უკვე სხვა პრობლემა დამიდგა, კოჭი ტანის წონას ვერ უძლებდა, კუნთი სხეულს ვერ ამუშავებდა. შედეგი: ფეხი წარამარა კოჭში მიბრუნდებოდა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გავუქანებიავარ მამას საავადმყოფოში.

ერთ მშვენიერ დღეს კი განმიცხადეს: „თქვენთან დიდი კლუბები არიან დაინტერესებულნი". მართლაც დავინახე ისინი, შავკოსტუმიანი კაცები მოედნის კიდესთან, ჩემს თამაშს რომ აკვირდებოდნენ. იქ იყვნენ „ოსერის", „სენტ-ეტიენის", „ნანტის" და თვით „ბორდოს" წარმომადგენლები. „ბორდოზე" ჩემმა მშობლებმა ერთხმად შეჰყვირეს: არავითარ შემთხვევაში! მე „სენტ-ოტიენი" მომწონდა, მაგრამ რაღაც სხვა მიზეზების გამო არ გამოვიდა. საბოლოოდ, დარჩა „ნანტი". მამაჩემს სახე გაუფითრდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია — ჩვენს შორის ამიერიდან 600 კილომეტრი უნდა ყოფილიყო.

...ნანტის აკადემიაში ჯადო-ბიჭუნად გამომაცხადეს და სხვათა შურიც გამოვიწვიე. ასეთი გარემო ძალიან მაწუხებდა, ის დრო ახლაც ცუდად მაგონდება, არადა, ასობით ბიჭი ისინჯებოდა თითო პოზიციაზე, ფეხბურთელი კი რამდენი გამოვედით? დესაი, გრაველინი, ფერრი, მე და კიდევ ერთი-ორი.

მოკლედ, ექვსი თვის შემდეგ მიგვიღეს და ჩვენც, დესაის ჩათვლით, ღამის კლუბში გონების დაკარგვამდე გამოვთვერით — ასე ჩადგა ყველაფერი კალაპოტში.

და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო — კვირაში ორ ვარჯიშს დაჩვეული დღეში ორ ვარჯიშზე გადამიყვანეს, თან ჩვეულებრივ სწავლა-განათლებასაც არ ვეშვებოდი, მაინც დავამთავრე სკოლა, მოკლედ... მოკლედ ჩამოვყალიბდი იმად, რასაც პროფესიონალს უწოდებენ. მართლა მქონდა ის თვისებები, რაც ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს და... სირცხვილით უნდა ვალიარო, რომ წარმოუდგენლად ამბიციური ვიყავი, მინდოდა ყოველ დღე ყველაფერი მომეგო.

...დღეს რომ ვუყურებ, მიკვირს და ვხალისობ: „ნანტის" შემადგენლობაში, პირველ დივიზიონში 111 შეხვედრა ჩამიტარებია. აი, ასეთი იყო ხუთი წელიწადი ჟან-კლოდ სიუდისთან ერთად. ვიცი, სიუდი დიდხანს მაკვირდებოდა. აკადემიაში ხშირად მინახავს ჩემი ოთახის გასწვრივ თავის პუდელთან ერთად მორბენალი. გაჩერდებოდა, თითო სიტყვას გავცვლიდით და გზას განაგრძობდა. დღეს ვხედები, რომ ამ მოკლე-მოკლე გამოლაპარაკებებით, მამზადებდა და 1985 წლის 27 სექტემბერს, „ბრესტთან" სტუმრობის დღეს 17 წლის ბიჭი, შემადგენლობაში დამასახელა.

პირველ წელიწადს შვიდჯერ ვითამაშე, მეორე წელიწადს ცხრამეტჯერ, მესამე წელიწადს კი ოცდათჯერ. ეს, მესამე, ის წელიწადი იყო, როდესაც ბლაჟევიჩმა კაპიტნად გამომაცხადა.

...„ნანტი" ჩემთვის მაინც ტრამპლინი გამოდგა უფრო მაღალი საფეხურებისკენ. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ერთი და ძალიან მთავარი რამ მაინც მაკლდა — გამარჯვება! ჯილდოსადმის ლტოლვა კი არანორმალური მქონდა. მეგონა, რომ დიდ კლუბებს ვუნდოდით, მაგრამ... ბოლოს აღსრულდა!

ტულუზში გახლდით. თამაში გვქონდა, როდესაც სასტუმროს კარზე ვილაცამ დამიკაკუნა, გავაღე, ჩემს წინ „ნანტის" პრ[illegible] ბოიე იდგა. ის შემ[illegible] მიცხადა:

„ჩვენ გაგყიდეთ, დიდიე. „მარსელში".

ვერ დავიჯერე. უნებლიედ ვუპასუხე:

„გამორიცხულია მუსიე. ასეთ რამეს მხოლოდ მე ვწყვეტ!"

შემდეგი დღე ტელეფონთან გავატარე, ჩემს აგენტს, ჟან პიერ ბერნეს ვურეკავდი. ისე, ყველაფერი რამდენიმე საათში გაირკვა, როგორც საფეხბურთო, ასევე ფინანსური ასპექტი. შემდგომ საღამოს კი, რამდენიმე საათიანი მოლაპარაკებების შემდეგ ჩემმა ყურებმა გაიგო სწორედ ის, რისი გაგებაც სურდა: „მარსელი! მე უმაღლესი დონის კლუბში მივდიოდი!

...„ნანტიდან" პლანეტა „მარსელზე" გადაფრენა ძალიან ძნელი გამოდგა. აღმოვაჩინე სამყარო, რომლის მსგავსიც არსად მენახა. თამაშის სტანდარტი, ქომაგები, პრესა და სხვა ასეთს არაფერს შევხვედროდი. ყველაფერი ძალიან რთული ჩანდა და თან გამიჩნდა გრძნობა, თითქოს ეს ის ჩემპიონატი აღარ იყო, რომელშიც ადრე ვთამაშობდი. „ნანტთან" შედარებით ყოველივე კონტროლს ექვემდებარებოდა. ძალიან ძნელი დამიდგა პირველი ოთხი თვე.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „მარსელის" პრეზიდენტი გახლდათ ბერნარ ტაპი. მე იგი 23 წლისამ გავიცანი და თვალს ვერ ვუსწორებდი. მოედანზეც იგივე ხდებოდა, ვინ ვიყავი მოზერთან, ჰაჰენთან ან ფრანჩესკოლისთან შედარებით?

და ტაპიმ გადაწყვიტა ჩემი თავი ერთი წლით „ბორდოსთვის" ეთხოვებინა.

იმ წელიწადს „მარსელი" საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, ეს ჯილდო მეც მერგო, მაგრამ მის მოპოვებაში დიდ წვლილი არ მითამაშია. მე ერთი წლით „ბორდოში" წავედი.

„ბორდოში" კი საკუთარი თავის რწმენა დავიბრუნე, სხვა თუ არაფერი, 29 შეხვედრაში მიიღე მონაწილეობა, თუმცა... კლუბს ერთდროულად სამი მწვრთნელი ჰყავდა და ამიტომ ყველაფერი ყირაზე იდგა. მოკლედ, მოუთმენლად ველოდი სეზონის დასრულებას, რათა „მარსელში" დავბრუნებულიყავი, სადაც რადაც არ უნდა დამჯდომოდა, კარგად უნდა მეთამაშა.

და კიდევ, „მარსელში" მეგულებოდა ბერნარ ტაპი, რომლისთვისაც უნდა დამემტკიცებინა, რომ ღირსეული ვიყავი.

...არასდროს დამავიწყდება სეზონის ბოლოს გამართული ერთი სატელეფონო საუბარი. ვგონებ, ჩემი კარიერის ბედი სწორედ მაშინ გადაწყდა. შინ ვიყავი, ბასკეთში, ცალკე ოთახში გავედი, კარი შიგნიდან ჩავკეტე და ტაპის დავურეკე. სხვათა შორის, ის საკმაოდ პატიოსანი კაცია, არასდროს მიკიბ-მოკიბავს.

„მისმინე, დიდიე, „მარსელში" შენთვის კარგი არაფერი მოხდება. ძირითადში შენ არ გათამაშებენ და ამიტომ არც ნაკრებში აგიყვანენ. ჯობს წახვიდე" — მითხრა ტაპიმ. „პარი სენ ჟერმენთან" ჩემში ანგლომას გაცლა უნდოდა. გულის სიღრმეში ვიცოდი, მწამდა, რომ ცდებოდა და ამიტომაც გავუში ხანგრძლივი, ჯიუტი საუბარი. ბოლოს მომესმა: „კარგი, კარგი, დიდიე. ვცადოთ".

მოამზადა
ბაბუნა ძედიამ
გაგრძელება ხვალინდელ „სარბიელში"

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი პრემიერლიგა						
		I ტური						
		16 აგვისტო						
16.00	001	ბირმინგემი-ტოტენჰემი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
16.30	002	პორტსმუთი-ასტონ ვილა	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00	003	არსენალი-ევერტონი	1,35	4,2	8,0	1,02	1,15	2,75
	004	არსენალი-ევერტონი 0:1	1,9	3,2	2,7			
19.00	005	ბლექბერნი-ფულჰემპტონი	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
19.00	006	ფულემი-მიდლსბრო	2,35	3,2	2,8	1,35	1,27	1,49
19.00	007	ლესტერი-საუთჰემპტონი	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
19.00	008	მანჩესტერი-ბოლტონი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	009	მანჩესტერი-ბოლტონი 0:1	1,65	3,3	3,3			
		17 აგვისტო						
18.00	010	ლიდსი-ნიუკასლი	2,6	3,2	2,45	1,43	1,26	1,38
18.00	011	ჩარლტონი-სიტი	2,3	3,2	2,9	1,33	1,28	1,52
20.05	012	ლივერპული-ჩელსი	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		გერმანია ბუნდესლიგა. III ტური						
		16 აგვისტო						
18.30	114	კაიზერსლაუტერნი-ვერდერი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
18.30	115	მიონხენგლადბახი-შტუტგარტი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
18.30	116	ჰერტა-ფრაიბურგი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
18.30	117	ჰანზა-აინტრახტი	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
18.30	118	ლევერკუზენი-ჰანოვერი	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
18.30	119	ბაიერნი-ბოხუმი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
	120	ბაიერნი-ბოხუმი 1,65	3,3	3,3	1,1	1,1	1,65	
18.30	121	დორტმუნდი-მიუნხენი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
		17 აგვისტო						
20.30	122	შალკე-კიოლნი	1,5	3,6	6,5	1,05	1,21	2,31
20.30	123	ვოლფსბურგი-ჰამბურგი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
		შვედეთი სუპერეტა XIX ტური						
		14 აგვისტო						
22.00	327	ატვიდაბერგი-ფორვარდი	1,6	3,8	4,8	1,12	1,2	2,12
22.00	328	ასირისკა-ვესტეროსი	2,25	3,2	3,0	1,32	1,28	1,54
22.00	329	ოპერა-ბრომაპოიკარნა	2,05	3,4	3,2	1,27	1,24	1,64
		უეფას თასი I ეტაპი. I მატჩები						
		14 აგვისტო						
18.30	651	ატირაუ-ლევსკი	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
19.00	652	ნემანი-სტიაუა	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
20.00	653	ლევადია-ვარტეკსი	4,4	3,5	1,7	1,94	1,22	1,14
20.00	654	ჟიუკოვი-ჟენისი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
20.00	655	დინამო(ტ)-ლოკერენი	3,6	3,3	1,9	1,72	1,24	1,2
20.00	656	ეკრანასი-დებრეცენი	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
20.00	657	პუხოვი-სიონი(ბ)	1,3	4,2	8,0	1	1,11	2,75
20.00	658	ცემენტარნიცა-კატოვიცე	3,3	3,2	2,1	1,62	1,28	1,26
20.05	659	მიუპა-იანგ ბოიზი	2,35	3,3	2,7	1,37	1,25	1,48
20.30	660	პუბლიკუმი-ბელასიცა	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
21.00	661	კერნტენი-ვრინდავიკი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
21.00	662	პეტრუალკა-დუდელანჟი	1,07	8,0	20,0	1	1,01	5,71
21.00	663	ტორპედო(მ)-დომანიანო	1,01	11,0	40,0	1	1	8,62
21.30	664	აპოელი-დერი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
21.45	665	ეტცელა-კამენი	10,0	5,0	1,25	3,33	1,11	1
21.45	666	ქუიმბრანი-მაკაბი(ჰ)	6,5	4,0	1,45	2,47	1,18	1,06
22.00	667	ნორდსიელანდი-შირაქი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
22.00	668	ვლაჟნია-დანდი	2,9	3,2	2,3	1,52	1,28	1,33
22.00	669	ესბიერგი-სანტა კოლომა	1,02	10,0	40,0	1	1	8
22.00	670	დინამო(ბქ)-მეტალურგსი	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
22.00	671	მოლდე-კლაკსვიკი	1,1	7,5	17,0	1	1,03	5,2
22.30	672	ვადუცი-დნიპრო	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08
22.30	673	ლიტექსი-ზიმბრუ	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
22.45	674	ბირკირკარა-ფერენცვაროში	6,0	3,8	1,5	2,32	1,2	1,07
23.00	675	ჰაპოელი-ბანანცი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.00	676	ოლიმპია-შელბურნი	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
23.00	677	ლანსი-ტორპედო(ქ)	1,1	6,0	14,0	1	1,01	4,19
23.00	678	ოდენსე-ტალინი	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
23.00	679	ცრვენა ზვეზდა-ნისტრუ	1,15	6,0	14,0	1	1,06	4,19
23.00	680	გროცლინი-ატლანტასი	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.00	681	მალმიო-პორტდაუნი	1,08	8,0	17,0	1	1,01	5,44
23.00	682	ბრიონდბიუ-დინამო(მნ)	1,25	5,0	10,0	1	1,11	3,33
23.15	683	ჟელეზნიჩარი-ანორთოსისი	1,75	3,4	4,2	1,15	1,23	1,87
23.30	684	აიკ-ფილკირი	1,2	5,3	12,5	1	1,09	3,72
23.30	685	კოლრეინი-ლეირია	5,6	3,6	1,55	2,19	1,21	1,08
23.45	686	სიტი-ტნს	1,02	11,0	30,0	1	1	8,04
23.00	687	რუნავიკი-ლინი	6,5	4,0	1,45	2,47	1,18	1,06

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

უეფას თასი
საკვალიფიკაციო ეტაპი
I მატჩები
14 აგვისტო

ატირაუ — ლევსკი	3,8	3,5	1,72
ნემანი — სტიაუა	4,0	3,4	1,72
ცემენტარნიცა — კატოვიცე	3,0	3,2	2,1
დინამო (ტირანა) — ლოკერენი	3,3	3,3	1,9
ეკრანასი — დებრეცენი	2,4	3,25	2,5
ლევადია — ვარტექსი	4,2	3,5	1,66
პუხოვი — სიონი	1,36	4,0	7,0
ჟიჟკოვი — ჟენისი	1,16	5,5	12,0
მიუპა — იანგ ბოისი	2,2	3,1	2,87
პუბლიკუმი — ბელასიცა	1,4	3,75	7,0
კერნტენი — გრინდავიკი	1,2	5,0	11,0
პეტრუალკა — დუდელანჟი	1,1	7,0	13,0
ტორპედო (მოსკოვი) — დომანანო	1,02	8,5	41,0
აპოელი — დერი სიტი	1,36	4,0	7,0
ქუიმბრანი — მაკაბი (ჰაიფა)	6,5	3,6	1,44
ეტცელა — კამენ ინგრადი	10,0	4,5	1,25
ვლაჟნია — დანდი	2,87	3,3	2,1
დინამო (ბუქარესტი) — მეტალურგსი	1,4	3,75	7,0
ესბიერგი — სანტა კოლომა	1,05	8,0	21,0
მიოლდე — კლაქსვიკარი	1,1	7,0	13,0
ნორდსაელენდი — შირაქი	1,22	5,0	9,5
ლიტექსი — ზიმბრუ	1,44	3,6	6,5
ვადუცი — დნიპრო	4,2	3,5	1,66
ბირკირკარა — ფერენცვაროში	5,0	3,6	1,53
ბრონდბიუ — დინამო (მინსკი)	1,28	4,5	8,0
გროცლინი — ატლანტასი	1,25	4,5	10,0
ლანსი — ტორპედო (ქუთაისი)	1,12	6,0	15,0
მალმიო — პორტდაუნი	1,16	5,5	12,0
ოდენსე — ტვმკ	1,16	5,5	12,0
ოლიმპია — შელბურნი	1,4	3,75	7,0
ცრვენა ზვეზდა — ნისტრუ	1,14	6,0	12,0
რუნავიკი — ლინი	6,0	3,4	1,5
სარაევო — ანართოსისი	1,66	3,4	4,33
აიკ — ფილკირი	1,12	6,0	15,0
კოლრეინი — ლეირია	6,0	3,3	1,53
მანჩესტერ სიტი — ლანსანტფრეიდი	1,02	8,5	34,0
ჰაპოელი (თელ ავივი) — ბანანცი	1,36	4,0	7,0

ინგლისი
პრემიერლიგა. I ტური
16 აგვისტო

პორტსმუთი — ასტონ ვილა	2,3	3,2	2,62
მანჩესტერ იუნ. — ბოლტონი	1,22	5,0	9,5
არსენალი — ევერტონი	1,28	4,5	8,0
ბირმინგემი — ტოტენჰემი	2,2	3,2	2,8
ბლეკბერნი — ვულვერჰემპტონი	1,57	3,5	5,0
ფულემი — მიდლსბრო	2,3	3,2	2,62
ლესტერი — საუთჰემპტონი	2,3	3,2	2,62

17 აგვისტო

ჩარლტონი — მანჩესტერ სიტი	2,37	3,3	2,5
ლიდსი — ნიუკასლი	3,0	3,2	2,1
ლივერპული — ჩელსი	2,3	3,0	2,8

ინგლისი
I დივიზიონი. II ტური
16 აგვისტო

კრისტალ პალასი — უოტფორდი	2,0	3,0	3,2
კარდიფი — ბრედფორდი	1,8	3,4	3,6
ქოვენთრი — უოლსოლი	1,9	3,25	3,4
ქრიუ — იფსვიჩი	2,75	3,2	2,25
ჯილინგემი — დერბი ქაუნთი	2,1	3,2	3,0
ნორვიჩი — როტერჰემი	1,66	3,4	4,33
რედინგი — ნოტინგემი	2,1	3,2	3,0
სტოკი — უიმბლდონი	2,0	3,2	3,2
სანდერლენდი — მილუოლი	2,0	3,2	3,0
ვესტ ჰემი — შეფილდ იუნ.	1,8	3,3	3,75
უიგანი — პრესტონი	1,9	3,25	3,4
ვესტ ბრომვიჩი — ბარნლი	1,57	3,5	5,0

ინგლისი.
II დივიზიონი. II ტური
16 აგვისტო

ბლეკპული — უიკომბი	1,83	3,3	3,6
ბორნმუთი — ბარნსლი	2,2	3,2	2,8
ბრენტფორდი — პიტერბრო	2,1	3,3	2,87
ჩესტერფილდი — ბრისტოლი	3,2	3,2	2,0
გრიმსბი — პორტ ვეილი	1,8	3,3	3,75
ჰარტლპული — ტრანმერი	2,5	3,1	2,5
ნოტსი — რექსემი	2,3	3,2	2,62
რაშდენი — პლიმუთი	2,1	3,2	3,0
შეფილდ უენსდი — ოლდემი	1,44	3,6	6,5
სტოკპორტი — ლუტონი	2,25	3,2	2,75

18 აგვისტო

ბრაიტონი — ქუინზ პარკი	2,37	3,1	2,62

ინგლისი.
III დივიზიონი. II ტური
16 აგვისტო

ბოსტონი — ჰადერსფილდი	2,37	3,1	2,62
ბერი — სკანთორპი	2,37	3,1	2,62
როვერსი — როჩდეილი	1,57	3,5	5,0
კემბრიჯი — მაკლსფილდი	1,9	3,25	3,4
ჩელტენემი — სუონსი	2,2	3,2	2,8
დარლინგტონი — კიდერმინსტერი	1,9	3,25	3,4
დონკასტერი — საუთენდი	2,1	3,2	3,0
მენსფილდი — ლეიტონი	1,83	3,3	3,6
ოქსფორდი — ჰალი	2,37	3,3	2,5
ტორკი — ლინკოლნი	2,0	3,2	3,2
ეოვილი — კარლაილი	1,53	3,4	5,5
იორკი — ნორთჰემპტონი	2,62	3,1	2,37

შოტლანდია.
პრემიერლიგა. II ტური
16 აგვისტო

აბერდინი — რეინჯერსი	8,0	4,0	1,33
სელტიკი — დანდი იუნ.	1,14	6,0	12,0
კილმარნოკი — პარტიკი	1,66	3,4	4,33
ლივინგსტონი — მოზერუელი	1,8	3,3	3,75

17 აგვისტო

დანდი — დანფერმლაინი	2,0	3,2	3,2
ჰიბერნიანი — ჰართსი	2,5	3,25	2,4

შოტლანდია
I დივიზიონი. II ტური
16 აგვისტო

ეარი — ფოლკირკი	3,2	3,5	1,9
ბრეჩინი — რეითი	2,3	3,4	2,5
ინვერნესი — კლაიდი	2,25	3,6	2,5
ქუინი — როსი	2,5	3,6	2,25
სენტ მირენი — სენტ ჯონსტონი	2,62	3,5	2,2

შოტლანდია
II დივიზიონი. II ტური
16 აგვისტო

ერდრი — ალოა	1,83	3,6	3,3
ბერვიკი — ჰამილტონი	2,4	3,4	2,4
დამბარტონი — არბროთი	2,4	3,4	2,4
ფორფარი — ისტ ფაიფი	1,72	3,6	3,75
სტენჰაუზმური — მორტონი	2,62	3,5	2,2

შოტლანდია
III დივიზიონი. II ტური
16 აგვისტო

კოუდენბითი — ალბიონი	2,4	3,4	2,4
ისტ სტირლინგი — მონტროუზი	2,87	3,6	2,0
პიტერჰედი — გრეტნა	1,9	3,6	3,1
ქუინზ პარკი — ელგინი	2,25	3,6	2,5
სტრანრარი — სტირლინგი	2,2	3,5	2,62

interwetten.com

ინტერვეტენი (ავსტრია)

უეფას თასი

საკვალიფიკაციო ეტაპი

I მატჩები

14 აგვისტო

ატირაუ — ლევსკი	4,0	3,3	1,7
ნემანი — სტიაუა	4,2	3,4	1,65
ცემენტარნიცა — კატოვიცე	3,3	3,3	1,9
დინამო (ტირანა) — ლოკერენი	3,4	3,2	1,9
ეკრანასი — დებრეცენი	2,9	3,2	2,1
ლევადია — ვარტექსი	4,6	3,4	1,6
პუხოვი — სიონი	1,35	4,0	7,0
ჟიჟკოვი — ჟენისი	1,15	6,0	12,0
მიუპა — იანგ ბოისი	2,6	3,1	2,3
პუბლიკუმი — ბელასიცა	1,35	4,0	7,0
კერნტენი — გრინდავიკი	1,2	5,0	10,0
პეტრჟალკა — დუდელანჟი	1,05	7,5	20,0
ტორპედო (მოსკოვი) — დომანანო	1,02	9,0	25,0
აპოელი — დერი სიტი	1,35	4,0	7,0
ქუიმბრანი — მაკაბი (ჰაიფა)	6,0	3,9	1,4
ეტცელა — კამენ ინგრადი	9,0	4,5	1,25
ვლაჟნია — დანდი	2,4	3,2	2,4
დინამო (ბუქარესტი) — მეტალურგსი	1,25	4,5	9,0
ესბიერგი — სანტა კოლომა	1,02	9,0	25,0
მიოლდე — კლაქსვიკარი	1,15	6,0	12,0
ნორდსაელენდი — შირაქი	1,35	4,0	7,0
ლიტექსი — ზიმბრუ	1,5	3,7	5,0
ვადუცი — დნიპრო	4,6	3,4	1,6
ბირკირკარა — ფერენცვაროში	4,6	3,4	1,6
ბრონდბიუ — დინამო (მინსკი)	1,3	4,2	8,0
გროცლინი — ატლანტასი	1,15	6,0	12,0
ლანსი — ტორპედო (ქუთაისი)	1,1	7,0	15,0
მალმიო — პორტდაუნი	1,15	6,0	12,0
ოდენსე — ტვმკ	1,2	5,0	10,0
ოლიმპია — შელბურნი	1,25	4,5	9,0
ცრვენა ზვეზდა — ნისტრუ	1,15	6,0	12,0
რუნავიკი — ლინი	4,6	3,4	1,6
სარაევო — ანართოსისი	1,5	3,7	5,0
აიკ — ფილკირი	1,25	4,5	9,0
კოლრეინი — ლეირია	5,0	3,7	1,5
მანჩესტერ სიტი — ლანსანტფრეიდი	1,02	9,0	25,0
ჰაპოელი (თელ ავივი) — ბანანცი	1,3	4,2	8,0

ინგლისი

პრემიერლიგა. I ტური

16 აგვისტო

პორტსმუთი — ასტონ ვილა	2,4	3,0	2,6
მანჩესტერ იუნ. — ბოლტონი	1,3	4,2	8,0
არსენალი — ევერტონი	1,35	4,0	7,5
ბირმინგემი — ტოტენჰემი	2,5	3,0	2,5
ბლექბერნი — ვულვერჰემპტონი	1,7	3,2	4,2
ფულემი — მიდლსბრო	2,1	3,1	3,0
ლესტერი — საუთჰემპტონი	2,2	3,1	2,8

17 აგვისტო

ჩარლტონი — მანჩესტერ სიტი	2,1	3,1	3,0
ლიდსი — ნიუკასლი	2,7	3,0	2,3
ლივერპული — ჩელსი	2,3	3,0	2,7

გერმანია. ბუნდესლიგა. III ტური

16 აგვისტო

კაიზერსლაუტერნი — ვერდერი	1,85	3,2	3,5
გლადბახი — შტუტგარტი	2,5	3,0	2:5
ჰერტა — ფრაიბურგი	1,55	3,5	4,8
ჰანზა — აინტრახტი	1,8	3,1	3,8
ლევერკუზენი — ჰანოვერი	1,8	3,1	3,8
ბაიერნი — ბოხუმი	1,25	4,5	9,0
დორტმუნდი — მიუნხენ 1860	1,5	3,7	5,0

17 აგვისტო

ვოლფსბურგი — ჰამბურგი	2,2	3,0	2,9
შალკე — კიოლნი	1,5	3,7	5,0

საფრანგეთი

I დივიზიონი. III ტური

16 აგვსიტო

ოსერი — სტრასბური	1,65	3,2	4,6
აიაჩო — ნანტი	2,4	2,9	2,7
გენგამი — ბორდო	2,3	2,9	2,8
ლემანი — ნიცა	2,6	2,7	2,7
მეცი — პსჟ	2,8	2,9	2,3
მონაკო — ბასტია	1,45	3,6	5,8
მონპელიე — ლიონი	2,8	2,8	2,4
სოშო — რენი	1,75	3,1	4,2
ტულუზი — ლილი	2,3	2,8	2,9

17 აგვისტო

ლანსი — მარსელი	2,4	2,9	2,7

კალათბურთი გუნდური თამაშია: ასწავლის ლარი ბრაუნი ალენ აივერსონს

ბრძოლის სიმღერა მოგვესმა

ამერიკამ ქუდზე ვარსკვლავი შეარიბა

ფრანგ მორაგბეებს ერთი ჩვეულება აქვთ, მსოფლიოს თასის წინ ქვეყნის ეროვნული გუნდი კარგა ხნით ადრე იკრიბება და სადღაც მთებში იხიზნება. ნებაყოფილებით იკეტება ნაჭუჭში, რათა მოთამაშეები უფრო გაიხსნენ და დაუახლოვდნენ ერთმანეთს. ბიჭები ერთ მუშტად რომ შეიკრან, ნაკრების თავკაცი ბერნარ ლაპორტი მათ ერთმანეთთან კამათისკენაც უბიძგებს.

1966 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის წინ ჩრდილოეთ კორეის ნაკრები ორი წლით ადრე შეიკრიბა და ტურნირამდე დარჩენილი დრო სადღაც მიუვალ მონასტერში გაატარა.

საფეხბურთო ჩემპიონატების წინ ბევრი სხვა ქვეყნის ნაკრების შეკრებას ხშირად ქვეყნის პრეზიდენტებსაც არ აკარებენ

ამერიკის საკალათბურთო ნაკრები ჯერჯერობით არ იღებს ასეთ რადიკალურ ზომებს. პირიქით, „დრიმ თიმის" შეკრება ყველაფერთან ერთად შოუცაა, რითაც ყოველდღიურად იკვებება ამერიკული პრესა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ნბა-ს ვარსკვლავების „ოცნების გუნდს" უკვე სჭირდება ნამდვილი შეკრება, რაც ნამდვილი ვარჯიშია ახმახი ზანგი ბიჭების ღლაბუცის თანხლებით. მანამდე პირიქით იყო, ვარსკვლავები ღლაბუცობდნენ და ვარჯიშად ასაღებდნენ და, მართალი ითქვას, სერიოზული ვარჯიში არც სჭირდებოდათ, სანამ ურემი არ გადაბრუნდა.

მსოფლიოს ჩემპიონატიდან მხოლოდ 12 თვე გავიდა და ამერიკას ჯერაც ვერ მოუშუშებია ინდიანაპოლისის ჭრილობა. ნბაელ პროფესიონალებს 1992 წლის აქეთ ზედიზედ 58 ნაკრები დაემარცხებინათ და უცებ სირცხვილი არგენტინასთან, შემდეგ კი იუგოსლავიასთან და ესპანეთთანაც კი. ახლა კი ნბა-ს ყოჩაღი ბიჭები ვალდებულები არიან, 2004 წლის ათენის ოლიმპიადის წინ საკვალიფიკაციო ეტაპზე უზლიერესი შემადგენლობა აჯახირონ. აი, აქამდეც „დაეცნენ".

„დრიმ თიმი" სწორედ საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება, რომელიც 20-28 აგვისტოს პუერტო რიკის დედაქალაქ სან ხუანში გაიმართება და იქ ალენ აივერსონს, კობი ბრაიანტს, ტრეისი მაკგრეიდის, ტიმ დანკანსა და სხვა მილიონერ სუპერვასკვლავებს დომინიკელთა რესპუბლიკელებთან და ვირჯინიის კუნძულელებთან მოუწევთ ჯახი (სხვათა შორის დანკანი წარმოშობით ვირჯინიის კუნძულებიდანაა). ვერაფერი სიამოვნებაა მცხუნვარე აგვისტში პარკეტზე ოფლიანობა, მით უმეტეს, რომ იმავ დომინიკეთში, პუერტო რიკოში და შორიახლო კუნძულების ზურმუხტოვან პლაჟებზე ნებივრობენ ნბა-ს სხვა ვარსკვლავები.

ამერიკელებს შეკრების მოსაწყობად არ მიუმართავთ ტურისტული ფირმისთვის და რომელიღაც დაკოტის ან კაროლინის მთიანეთში არ გახიზნულან. ისინი, როგორც თავად მიიჩნევენ, სამყაროს ცენტრში, შუა მანჰეტენზე, ერთ-ერთი კოლეჯის დარბაზში შეიყარნენ და ქვეყანას ეუბნებიან, ნახეთ, როგორ ვემზადებით, რათა ჩვენი ქვეყნის შელახული ღირსება აღვადგინოთო.

„უცხოელებთან თამაში სულ უფრო და უფრო ძნელდება. 92-ში, როცა ჩვენ ბარსელონაში პირველი „ოცნების გუნდი" გავგზავნეთ, ჩვენი მიზანი კალათბურთის პროპაგანდა იყო. ყველაფერი კი უფრო სწრაფად მოხდა, ვიდრე ველოდით. ჩვენ „აღმოვაჩინეთ", რომ ისინი გვეწევიან. უკვე მთელი მსოფლიო თამაშობს ჩვენს სპორტს და თამაშობს კარგად" — გვიხსნის US-ს ნაკრების მეთაური ლარი ბრაუნი.

„უკვე აუცილებელი გახდა, მთელი ძალით ვითამაშოთ — ამბობს ტიმ დანკანი — საჭიროა, მთელი გუნდი შევთამაშდეთ და მოედანზე სწორედ გუნდის სახით და არა ცალკეულ მოთამაშეებად გავიდეთ" — ნახეთ როგორ ალაპარაკდნენ მსოფლიოს უძლიერესი ინდივიდუალისტები. კალათბურთის მშობელმა ქვეყანამ „აღმოაჩინა", რომ კალათბურთი გუნდური თამაშია.

რაც შეეხება სულით ინდივიდუალისტებს, აგერ, ბატონო, აქაა ალენ აივერსონი, რომელსაც ბრაუნი „ფილადელფიაში" ხუთი წელი ასწავლიდა, რომ კალათბურთი ხუთი კაცის თამაშია და ალბათ რაღაც შეაგნებინა. ყოველ შემთხვევაში, აივერსონი თუ ძველებურად გაუტევს ათენშიც, ბრაუნი მას სკამს არ ააშორებს. თავნება ვარსკვლავს კი ქვეყნის დროშის ღირსების დაცვა ისე სწყურია, როგორც არასდროს. ისე, აივერსონისთვის აშშ-ს ღირსების დაცვის არსი სხვებისთვის ჭკუის სწავლებაა. ასე ფიქრობს მისიანთა უმრავლესობა. კობი ბრაიანტმა ამას წინათ თქვა — მარტო იმიტომ გავალთ მე და სხვა სუპერვარსკვლავები მოედანზე, რომ მსოფლიოს ჩვენი ნაციის უპირატესობა ვაგრძნობინოთო.

ამერიკელები კიდევ ერთი კვირა ივარჯიშებენ და მერე „მედისონ სკვერ გარდენში" ამხანაგურად გაეთამაშებიან პუერტო რიკოს. მანამდე კი, როგორც მოგახსენეთ, ოფლად იღვრებიან. ვარჯიშობს ყველა, კობი ბრაიანტის გარდა, რომელსაც ფეხი სტკივა — ასეთია ნაკრებიდან გამოსული ოფიციალური ინფორმაცია, მაგრამ ქვეყანამ იცის, რომ კობის ფეხი კი არა, სასამართლო უწყება აწუხებს და სულ სხვა გაწამაწიაშია.

კობის თანაგუნდელები თან ემზადებიან, თან შეცდენილ ლეიკერსელზე ჭორაობენ. ენთუზიაზმი არავის აკლია, თვით ბებრეკ კარლ მელოუნსაც კი. მელოუნი — ვინძლო იცოდეთ — იმ „დრიმ თიმის" წევრია, რომელმაც 11 წლის წინ ბარსელონაში ნბა-ს დარბაზებიდან პირველად გამოიყვნა ნბა-ელები. მელოუნს 1996 წლის ატლანტის ოლიმპიური თამაშების ოქროც ჰკიდია 40 წლის კისერზე, მაგრამ ამ ყიამყრალ და უჯიათ ბებერს ჯერაც არ მობეზრებია ნაკრების მაისურა. დაუძახეს და გამოცხადდა. ათენში იქნებ ბევრიც არ ათამაშონ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ის ხომ „დრიმ თიმის" თილისმაა.

ირაკლი ფირაგვილი

საბონისმა ოჯახში შეიარა

არეიდას საბონისი 12 თვის წინ არაერთი მიზეზის გამო დაბრუნდა ნბა-ში და ამ ლიგაში თავის ერთადერთ კლუბ „პორტლენდში". წლიური შვიდი მილიონი გასამრჯელო, იცოცხლეთ, კარგი მიზეზია, მდინარეში მეორედ შესასვლელად, მით უმეტეს, რომ 221-სანტიმეტრიან ლიტველ გოლიათს ყოველთვის უყვარდა კალათბურთის მდინარეში ყუმპალაობა.

მაგრამ საბონისს, ეტყობა, ბავშვივით ჭირვეული ხასიათი აქვს და ვერ გაუკეთებია საბოლოო არჩევანი. ყოველ შემთხვევაში, მან რამდენიმე ერთმანეთის საპირისპირო „საბოლოო" ნაბიჯი გადადგა. ახლა ის კვლავ მიდის ნბა-დან და „პორტლენდიდან", რათა თურმე ოჯახთან მეტი დრო გაატაროს. გავიხსენოთ, რომ ორი წლის წინაც მან ზუსტად ასეთი განცხადებით დატოვა ნბა, მაგრამ სამშობლოში მხოლოდ ერთი წელი ნებივრობდა უქმად. შარშან დაბრუნდა და „პორტლენდთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა...

საბონისი ახლა 38 წლისა და რა გასაკვირია, თუ მისი შედეგიანობა ბოლო სეზონში 6,1 ქულამდე დაეცა. ბებერ გოლიათს თამაში კვლავაც რომ შეუძლია, თუნდაც ჰლეი ოფის ერთ-ერთ ზედაძაბულ თამაშში გამოჩნდა. საბონისმა 12 წუთში 16 ქულა ჩაუგდო მძლავრ „დალასს" და „პორტლენდს" სერიაში ანგარიში 3:3 გაათანაბრებინა.

მაგრამ როგორც თავად ბრძანა, მისი ადგილი ახლა ოჯახის და წამოზრდილი შვილების გვერდითაა. მაგრამ, თავისთავად ცხადია, საბონისი საბოლოოდ ვერ ამოშლის კალათბურთს თავისი ყოველდღიური ცხოვრებიდან. ახლაც ნბა-დან მოდის და მშობლიური კუნასის „ჟალგირისში" მიდის.

აბა, ოჯახი...

ალბათ, სადილად შეივლის-ხოლმე ოჯახში.

დენვერი ცუდი მეთევზეა, ჭიჭყინებით იკვებება

ბევრი ითევზავა, თუ ცოტა, „დენვერ ნაგიტსის" გენერალურმა მენეჯერმა ჯიჯი ვანდეეიჯმა ერთი დიდი ღლავი დააჭირა. „ლიპერსიდან" მოტაცებული თავისუფალი აგენტი ანდრე მილერი ჯარგი მეპასეცაა და მეჭელეც, მაგრამ მხოლოდ ის ვერ გააძღობს დამშეულ ყოლორადოელებს. მათ უფრო მსუყე სადილი უნდათ

დენვერული კარიკატურა: ჯიჯი ვანდეეიჯს ღლავები ხელიდან უსხლტებიან

მას შემდეგ, რაც თავისუფალ აგენტთა ბაზრის დახლებიდან „მაიამი ჰითმა" კიდევ ერთი ძვირი „საქონელი", ასევე კლიპერსელი ლამარ ოდომი დაითრია (6 წლით და 65 მილიონად), კიდევ უფრო გაკაპასდნენ დენვერული გაზეთები. ხალხი მედიის პირით ძლიერი გუნდს ითხოვს, ვანდეეიჯი კი მხოლოდ მილერს დასჯერდა (დრაფტიდან ღვთივ ნაწყალობევი კარმელო ენტონის „დენვერში" მისვლა ნაკლებადაა ვანდეეიჯის დამსახურება). ამასობაში ბაზარი ხეირიანი მოთამაშეებისგან იცლება, „დენვერი" კი ჯერაც დასაკომპლექტებელია.

კოლორადოელებს სასწრაფოდ სჭირდებათ უკანა ხაზში ანდრე მილერის მეწყვილე. ფულიც აქვთ, მთლად კობი ბრაიანტის თუ არა, ვინმე ხეირიანის სამყოფი, მაგრამ სანამ ვანდეეიჯი მომავლის გეგმებს ალაგებდა, ამ ამპლუის ყველა ნორმალური მოთამაშე სხვებმა დაიტაცეს. ვანდეეიჯი და „ნაგიტსის" მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ 213-სანტიმეტრიანი ნიკა ცქიტიშვილი მსროლელი არაა და ჩვენებური პერიმეტრიდან ფარქვეშ გადაიყვანეს, სადაც ყველა წესით და კანონით უნდა იდგეს ასეთი სიმაღლის მოთამაშე.

ვერც მეორე მომავალი ვარსკვლავი როდნი ვაიტია ნორმალური მსროლელი, თუმცა ბზდელიკი მაინც ჯიუტად ასწავლის ამ 206-სანტიმეტრიან წმინდა ფორვარდს მსროლელის პოზიციაზე თამაშის თავისებურებებს, მაგრამ ღრუბელივითაც რომ შეიწოვოს ბრძენი მწვრთნელის ნათქვამი, ამხელა ვაიტმა როგორ უნდა დაიჭიროს ალენ აივერსონისთანა და რეი ალენისთანა სხარტი ოპონენტები?

თავისუფალ აგენტთა ბაზარს კი „დეტროიტის" სათადარიგო მსროლელი ჯონ ბერი, უსახური „ტორონტოსგან" დაწუნებული ვოშონ ლენარდი, ჩამოწერილი სანანტონიელი ვარსკვლავი სტივ სმიტი და ამათი მსგავსები თუ შერჩენია. ვანდეეიჯმა თითქოს „ატლანტა ჰოქსის" დიონ გლოვერს დაადგა თვალი. საინტერესოა, ამ ბიჭით რამდენად შორს გეგმავს წასვლას? „ატლანტა" ოთხი წელი ზრდიდა გლოვერს და მისი შედეგიანობა საშუალოდ 10 ქულამდეც ვერ აწია.

ჰო, მართლა, ვანდეეიჯმა „ვოლდენ სტეიტიდან" 165-სანტიმეტრიანი ეარლ ბოიკინსიც ხომ გადაიბირა. ალბათ, ამ ბიჭს თუ „დაავახებს" კობი ბრაიანტს და ტრეისი მაკგრეიდის.

მსროლელთან ერთად მისტერ კიკი ცენტრსაც ეძებს, ნენე ილარიოს შემცვლელი სჭირდება. სხვათა შორის, ილარიომ სახელი შეიცვალა. როგორც ყველა ჭეშმარიტმა ბრაზილიელმა, მანაც დაამოკლა სახელი და ახლა მხოლოდ „ნენედ" ჩაიწერება ოქმებში. არადა, ნბა-ში ის მეიბინერ ილარიოს სახელით მივიდა.

ნენე ახლა მშობლიურ ნაკრებთან ერთად ემზადება. 20 აგვისტოდან პუერტო რიკოში 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირი იწყება. ნენე და მისი ბრაზილია ალბათ შეხვდებიან ამერიკელთა „ოცნების გუნდს".

კოტე ყორგია

პიუჟე, ფალკონე და მათი კროტონელი მილონები

ლუვრში ერთ-ერთი ნამუშევარი, რომლის ნახვისკენაც ვისწრაფვოდი, პიუჟესა და ფალკონეს ერთი და იგივე სახელწოდების ორი ქანდაკება „კროტონელი მილონი“ იყო.

ანტიკური ხანის ოლიმპიურ ჩემპიონთაგან ხელოვანთა შორის ყველაზე პოპულარული კროტონელი მილონია — კაცი, რომელმაც ოლიმპიურ და პანათენურ თამაშებში მოჭიდავეთა შორის ექვს-ექვსჯერ დაიდგა გამარჯვებულის გვირგვინი, თექვსმეტჯერ უძლიერესი იყო ისომიურ, ცხრაჯერ კი ნემეურ თამაშებში.

მილონმა ოლიმპიურ თამაშებზე ჯერ ჭაბუკ მოჭიდავეთა შორის იმარჯვა. მერე კი, 62-ე თამაშებიდან მოყოლებული, ექვსჯერ იყოჩაღა. თუმცა, შესაძლოა მილონი შვიდგზის ოლიმპიური ჩემპიონიცაა. საქმე ისაა, რომ მან მე-60 თამაშებზე ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა, 61-ე ასპარეზობის ჩემპიონთა სიაში კი მას ვერ ვხედავთ. თუმცა, იმ თამაშების გამარჯვებულთა შორის მოჭიდავე საერთოდ არ არის ნახსენები. ეტყობა, იმ თამაშების მოჭიდავე ოლიმპიონიკთა სია საერთოდ დაკარგულია, მაგრამ ექვს ოლიმპიადაზე კი უკვე მილონის სახელს ვკითხულობთ.

ასეა თუ ისე, ბოლოს 40 წლისა, ახალგაზრდა თანაქალაქელ ვოლიათ ტიმასიფეოსთან დამარცხება. ოლიმპიაში ტიმასიფეოსის ეს გამარჯვება პირველი და უკანასკნელი იყო.

მილონი ანტიკური ხანისა და თანამედროვე მოჭიდავეთა შორისაც გამარჯვებათა სიმრავლით აბსოლუტური რეკორდსმენია, უფრო სწორედ, მის ამ საქმეში ასევე ანტიკური ხანის გიგანტური ჰყავს მოზიარედ.

სამწუხაროდ, გიგანტებზე ისტორიას მის გამარჯვებათა რაოდენობის გარდა არაფერი შემოუნახია, მილონზე კი მრავალი თქმულება, მითი თუ ლეგენდა არსებობს.

ისიც ცნობილია, რომ მილონი სახელგანოქმული მათემატიკოსისა და ფილოსოფოსის, ასევე ბიოლოგიაში ოლიმპიური ჩემპიონის პითაგორას სკოლის აღსაზრდელი იყო. მილონის სახელს შეიკონავთ პოპულარულ ენციკლოპედიებშიც.

მასზე მოგვითხრობენ ანტიკური ხანის ისტორიკოსები და მწერლები, მსჯელობენ ფილოსოფოსები, პოეტები კი ხოტბას ასხამენ თავიანთ ლექსებში.

მილონის საარაკო საქმეებმა შთააგონა საჭრეთლის იმდროინდელი დიდოსტატები.

მას მშობლიურ ქალაქში მილონის პირველი ოლიმპიური გვირგვინის მოპოვებისთანავე მოქანდაკე დამეოსმა ბრინჯაოსგან ტრიუმფატორის ძეგლი გამოძერწა. მუშაობის დამთავრების მერე მილონმა თავისი ზომის ძეგლი თოკით ზურგზე წამოიკიდა და საკუთარი თავი საქალაქო მოედნისკენ გააქანა. თუმცა ბოლოს ძალზე გაუჭირდა, რადგან თავზე შემოხვეული თოკი დაბერილმა ძარღვებმა გაგლიჯა.

პიერ პიუჟეს „კროტონელი მილონი“



ლუვრის ქანდაკებათა ერთ-ერთ დარბაზში

მილონს ძეგლი აუგეს ოლიმპიაშიც. მის იმ ორეულს ხელში ბროწეული ეკავა.

საქმე ის იყო, რომ მილონმა თავისი ძეგლის გამოძერწვა იმ პოზაში ისურვა, რომლითაც იგი ხუმრობდა. ეს კაცი მუჭში მოიქცევდა ბროწეულს და ძლიერთ მის წართმევას სთავაზობდა, მაგრამ ყველანი ამაოდ ირჯებოდნენ.

მილონს სხვა თავშესაქცევი გართობაც უყვარდა. იგი ზეთისხილით გაპოხილ მოყანყალე ბადროზე დგებოდა და ყველას იქიდან ხელისკვრით ჩამოგდებას სთავაზობდა, რისთვისაც ბედის მაძიებელნი ამაოდ ირჯებოდნენ.

სამწუხაროდ, მილონის ანტიკური ორეულები ჟამთასვლამ ვერ შემოგვინახა. თუმცა, ლუვრში დაცულია XVII და XVIII საუკუნის ფრანგ მოქანდაკეთა ბრწყინვალე ნამუშევრები, რომლებიც მილონის ტრაგიკულ აღსასრულს ასახავს.

„საბრალო, როგორ იტანჯება!“ — აღმოხდენია დედოფალ მარია ანტუანეტას, როცა ვერსალის პარკში პიერ პიუჟეს მიერ გამოქანდაკებული 220 სმ. სიმაღლის მარმარილოს სკულპტურული ჯგუფი აღმართეს 1682 წელს.

ასაკში შესული მილონი ტყეში შეშის მოსატანად წავიდა. იქ თავისი ძალის შესაფერის მორს შეეჭიდა, შიგ პალოები ჩაასო და მერე თითები ნაპრალში ჩაყო, რითაც ხის ხელით გახლეჩას შეეცადა. გათავისუფლებული პალოები როგორღაც ხიდან ამოცვივდა, მორმა პირი შეიკრა, მილონის თითები შიგ მჭიდროდ მოიქცია და ეს ხარზე ძლიერი კაცი დაატყვევა. რამდენიმე დღის მერე მშიერ-მწყურვალი და ღონემიხდილი მგლების მსხვერპლი შეიქნა.

პიერ პიუჟემ (1620-1699) სწორედ ეს საშინელი სცენა გამოქანდაკა, რომელიც ახლა ლუვრშია დაცული. ლუვრის ლამის ნახევარმილიონიან ექსპონატებს შორის მისი მოძებნა არ გამჭირვებია, რადგან „კროტონელი მილონის“ ზუსტი მისამართი ამ მუზეუმის გზამკვლევში ხელოვნების სხვა 45-მდე შედევრთა შორის იყო აღნიშნული, ოღონდ მგლების ხროვის ნაცვლად მოქანდაკეს ერთი ლომი გამოუსახავს.

ქანდაკებიდან თითქოს გვესმის ლომის საშინელი ბღღვინვა და მილონის სულის გამყინავი ყვირილი, რომელსაც სახეზე უდიდესი ტანჯვა და სასოწარკვეთა აღბეჭდია.

ეს ქანდაკება აღსავსეა დინამიურობითა და პლასტიკურობით.

ასეთივეა ამ მარსელელი მოქანდაკის მიერ მარმარილოში გამოთლილი სხვა ფართოდ ცნობილი კარიატიდა „ატლანტა“, რომელიც ტულონის რატუშის ფასადზე გამოიკვეთა. თუმცა მის ავტორს სახელი უფრო „კროტონელმა მილონმა“ გაუქთვა.

ლუვრშია აგრეთვე პიერ პიუჟეს თანამემამულის ეტიენ მორის ფალკონეს (1716-82წ.წ.) ამავე სახელწოდების ქანდაკებაც, რომელიც მისმა ავტორმა საუკუნის მერე შექმნა. ახალგაზრდა, იმედისმომცემმა 29 წლის ფალკონემ თავდაპირველად ლუვრის კვადრატულ სალონში 1745 წელს პარიზის სამეფო აკადემიის მიერ მოწყობილ გამოფენაზე „კროტონელი მილონის“ თაბაშირის ნამუშევარი წარადგინა, რამაც უდიდესი მოწონება დაიმსახურა. რვა წლის მერე ფალკონემ „კროტონელი მილონი“ მარმარილოში გამოკვეთა, როცა იგი თავისი საბედისწერო ხის ხელებით გახლეჩას ცდილობს. ამის მერე ფალკონე უმალ აკადემიის ნამდვილ წევრადაც მიიღეს.

ეს ქანდაკება გვხიბლავს დახვეწილი კომპოზიციურობითა და დინამიზმით.

ბევრმა „კროტონელ მილონში“ მის ავტორთან საოცარი მსგავსება დაინახა. და როცა ფალკონეს ამაზე სიტყვას ჩამოუგდებდნენ, ამბობდა: „დიახ, თავი ჩვეულებრივი მოკვდავისაა, რადგან იგი საკუთარის მიხედვით გამოვძერწე.“

ფალკონეს თავი ამშვენებს პეტერბურგში, ვეება ქვაზე ცხენზე შემომჯდარ მხედარს, რომელსაც აქვს წარწერა: „პეტრე I“ (1766-78). თუმცა მას პუშკინმა „სპილენძის მხედარი“ შეარქვა.

„სპილენძის მხედარი“ ფალკონემ კი შექმნა, მაგრამ მისი თავი ავტორის თავის მიხედვით მისივე საყვარელმა შეგირდმა მარი კოლომ გამოძერწა.

ამბობენ, რომ იმპერატორის ძეგლის საზეიმო გახსნაზე არც ეტიენ მორის ფალკონე გახსენებიათ და არც მარი კალლო, რომლებიც ძეგლიდან საბურველის ჩამოხსნის დღეს ისინი პეტერბურგიდან კარგა ხნის გამგზავრებულნი იყვნენ.

ფალკონეს სხვა ნამუშევართაგან ძალზე საინტერესოა ადრეული კლასიციზმის სულისკვეთებით შექმნილი „პიგმალიონი“ (1763), მაგრამ მის ავტორს მაინც „კროტონელმა მილონმა“ გაუთქვა სახელი. ეს ნამუშევარი მერე, 1924 წლის პარიზის ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით საფრანგეთის მარკაზეც გამოსახეს და ახლა ლუვრის ერთ-ერთი მშვენებაა.

ავთანდილ გურასაშვილი

პარიზი—თბილისი

ავტორის ფოტოები

ეტიენ მორის ფალკონეს „კროტონელი მილონი“ საფრანგეთის მარკაზე

WESTERN AND SOUTHERN FINANCIAL GROUP MASTERS

ცინცინატი, ამერიკა

საპრიზო 2,45 მილიონი $

პირველი წრე

ხუან კარლოს ფერერო (2, ესპანეთი) — **ნიკოლაი დავიდენკო** (რუსეთი) 6:0, 6:2; **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — **სკოტ დრეიპერი** (ავსტრალია) 4:6, 6:3, 7:6 (12:10); **ანდრეი მალისი** (ბელგია) — **ლეიტონ ჰიუიტი** (5, ავსტრალია) 3:6, 6:4, 6:2; **ენდი როდიკი** (7, აშშ) — **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) 6:3, 6:2; **რაინერ შუტლერი** (8, გერმანია) — **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) 6:2, 7:5; **ფელისიანო ლოპესი** (ესპანეთი) — **პარადორნ შრიჩაფანი** (9, ტაილანდი) 6:7 (1:7), 6:4, 7:6 (7:5); **უესლი მოოდი** (სამხრეთ აფრიკა) — **სებასტიან გროჯანი** (10, საფრანგეთი) 6:3, 6:7 (9:11), 6:3; **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — **გუსტავო კუერტენი** (14, ბრაზილია) 6:4, 6:0; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა) — **უეინ ართურსი** (ავსტრალია) 6:0, 6:4; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) 3:6, 6:3, 7:6 (7:2); **ევგენი კაფელნიკოვი** (რუსეთი) — **ჟან-მიშელ გემბილი** (აშშ) 6:4, 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — **მარკ ფილიპუსისი** (ავსტრალია) 1:6, 6:3, 6:4; **არნო კლეგანი** (საფრანგეთი) — **ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4; **იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) — **ვინსენტ სპადია** (აშშ) 7:5, 6:4

პირველ დღეს გავარდნილ მრავალ განთესილს, რომელთაც შარშანდელმა ჩემპიონმა კარლოს მოიამ „უყოჩა“, მეორე დღის დამლევს კიდევ ოთხიც შეურთდა. ნომრიან გაბუნტულებულთა მეორე პარტიაში ყველაზე მსხვილი მსხვერპლი ამქრის ოდინდელი პირველოსანი და აწ უკვე ბევრგან გვარიანად გვემული ლეიტონ ჰიუიტი იყო. ნაკისკასარი ოზბიჭი — მისი გოგო კიმ კლაისტერსი ამასაც მოესწრო და — ისე-რა ბელგიელმა ქსავიე მალისმა აოტა.

ამ მატჩზე სიტყვაუხვად საუბარს აზრი არა აქვს და არც ვაპირებთ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მალისს წლეულს თავი არაფრით გამოუჩენია, ჰიუიტამდელი სამი მატჩიც პირწმინდად წაეგო და უკანასკნელი ხუთი ტურნირიდანაც ოთხჯერ სწორედ პირველივე წრიდან დაითხოვეს.

ჰიუიტს იმედდიდა შერჩა

ერთი სიტყვით — უნიჭიერესი ავსტრალიელი ახლა მართლაც სერიოზულ კრიზისშია. ასეც ხდება ხოლმე, როცა ნიადაგ წინსვლის მაგიერ უმთავრეს მიზნად ვარდის უეკლოდ, ხოლო ტიტულების უოფლოდ მოკრეფას გადაწყვეტ. თუკი არ პროგრესირებ, რეგრესირებ — რომაელთა მიერ ორი ათასწლეულის წინ გამოთქმული ეს სიბრძნე ჰიუიტამდეც მრავალ ჭაბუკს დაუდასტურებია.

ჰოდა, არც არავის გაუკვირდეს, თუკი წინა ორი მასტერთასის გამარჯვებული, წლეულს საერთოდაც ვერ მოხვდება წლის ამ დამაგვირგვინებელ რვაკაცა პირველობაზე.

მოგეხსენებათ, მასტერსთასზე ჩოგნაობის უფლება სეზონის ბოლოსთვის ჩემპიონთა რბოლის პირველ შვიდადგილოსანსა და იმ წელს გამარჯვებულ სლემტიტულოსანთა შორის რბოლაში შვიდეულამდე ყველაზე მიახლოვებულს ეძლევა. ცხადია — თუკი ყველა სლემტიტულოსანი შვიდეულშია, მასტერსთასზე მერვეადგილოსანი მეჩოგნეც უდტრვინველად გადის.

ჰიუიტი ამ კვირამდე მხოლოდ მე-13 გახლდათ და იმ კვირაშიც მე-13 უნდა იყოს. იმის გათვალისწინებით, რომ მეშვიდე ადგილზე მდგარ კარლოს მოიას ის მხოლოდ 128 ქულით ჩამორჩება, დაკარგული თითქოს ჯერაც არაფერია, მაგრამ შეძლებს კი ასე თავდაჯერებაგაბზარული კაცი თუნდაც ამ ნაპრალის ამოვსებას? საკითხავიც სწორედ ეს არის.

თუმცა თავად ჰიუიტი იმედს არ ჰკარგავს და ამბობს, რომ ყველაფრის გამოსწორება მას აშშ-ის ღია პირველობის მოგებით ხელეწიფება.

იმედი მართლაც ბოლო კვდება ხოლმე.

ისე კი შეგახსენებთ, რომ სლემტიტულის მომხვეჭ მეჩოგნეს საჩემპიონთარბოლო მონაგარი ერთბაშად 200 ქულით ეზრდება, მასტერსტურნირის მომგებს კი — და ცინცინატურის შემდეგ ასეთი მხოლოდ ორი, მადრიდული და პარიზული დარჩება — 100-ით.

ხოლო, სანამ მეორე დღის დანარჩენ მატჩებზე გადავსულიყავით, ჩემპიონთა რბოლის პირველ ოცეულსაც გაახლებთ: ფედერერი (592), ფერერო (567), აგასი (515), კორია (514), როდიკი (507), შუტლერი (402), მოია (367), ფილიპუსისი (260), გროჯანი (253), ნალბანდიანი (243), ფერკერკი (242), რობრედო (241), ჰიუიტი (239), მანტია (235), კუერტენი (234), კალიერი (223), ნოვაკი (210), ფერეირა (209), კოსტა (201), შალკენი (199).

რბოლის ლიდერსა და წლევანდელი უიმბლდონობის ჯომარდ გამარჯვებულ როჯერ ფედერერს ავსტრალიელ სკოტ დრეიპერთან დაძაბული შეხლისას შვიდი მატჩბურთის მოგერიება მოუხდა. როგორც სტატისტიკა გვამცნობს, ამდენი მატჩბურთის ბოლოჯერ მარსელო რიოსმა გაუძლო — მან ეს შარშან, ხორვატ ივან ლიუბიჩიჩთან მიახერხა.

როგორც როიტერის ჩოგბურთზე მწერალმა, სტივენ ვუდმა დაწერა, ფედერერის თამაში ხშირად მერყეობს ხოლმე თვალისმომჭრელი ბრწყინვალებიდან თავზარდამცემ ინდიფერენტულობისკენ — სწორედ ამის შედეგია ის, რომ მას შეუძლია მეტოქეს თუნდა მოგების შვიდი შანსი მისცეს და მერე შვიდჯერვე გაანეიტრალოს.

სხვაფრივ — გაცილებით სტაბილურად გირჯნენ მეორე ნომრად განთესილი ხუან კარლოს ფერერო და წინა კვირას მონრეალურ მასტერსტურნირზე ნახეირალი ენდი როდიკი. მეორე წრეში გასასვლელად მათ მხოლოდ ფიორა ოფლის გამოშვება დასჭირდათ.



ლეიტონ ჰიუიტს, კარგა ხანია, გამარჯვება გაუფრინდა

ჟუსტინ ენენი თაღლითობას დაეჭვა

როცა ისინი ოლანძდებიან, მათი ჩოგნები მრთმანეთს ლოცავენ

უილიამსები კლაისტერსს საქორწინო კაბას შეპირდნენ

მსოფლიოს ფუმფულა პირველმეჩოგნე ქალი კიმ კლაისტერსი ირწმუნება, რომ მასა და მის ზღმურდლიან თვისტომ ჟუსტინ ენენს ერთმანეთში ნორმალური ურთიერთობა აქვთ.

შეგახსენებთ — ორიოდ კვირის წინ მათი აკურა კლასიკის ფინალში შეხლისას ენენმა წაგებული პირველი სეტის შემდეგ ექიმს მოუხმო და კაი გვარიანად მოდუნდა. ეს მას ადრეც გაუკეთებია და ჩანს, მისი ამგვარი ტაიმაუტები კიმზე უკვე ძალზედ გამალიზიანებლად მოქმედებს.

კორტზე დაბრუნების მერე ლეიტონის გოგო აჭრილად და მუზეგდაფრთხობილად გამოიყურებოდა, ვერაგი ჟუსტინი კი გადაწყობილიყო და მატჩის სათავისოდ შემოტრიალებაც აღარ გასჭირვებია. ნაფინალევს კიმმა ჟუსტინი გოთვერნობაში დაადანაშაულა, ჟუსტინმა კი საპასუხოდ შეულრინა, ჩემნაირი ბებერები რომ ჰქონოდა, ექიმს ეგეც მოუხმობდაო.

მათ შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზეც ხმა სწორედ ამის შემდეგ დაირხა. ეგ მით უფრო, რომ წლეულს ფრანგულენოვანმა ენენმა ფლამანდურენოვან კიმს როლანგაროსობის ფინალიც მოუგო და რაგინდარა სლემტიტულის მომხვეჭი პირველი ბელგიელიც თავადვე შეიქნა. ყოველივე ამის მიუხედავად კლაისტერსი ამბობს, რომ მათ შორის ყველაფერი რიგზეა: „ჩვენ უბრალოდ ძალიან განსხვავებული ხასიათები გვაქს — ეგ არის და ეგ.“

„მე უფრო ღია და რელაქსირებული ვარ. ის უფრო ჩაკეტილი გოგოა. მაგრამ ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს... დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და რეიტინგსიის პირველოსანი ისიც გახდება. ეს მხოლოდ დროის ამბავი უნდა იყოს.“

კლაისტერსი ამატებს, რომ რეიტინგსიის სათავეში მის მიერ შევიწროვებული შავდა უილიამსები — სერენა და ვინუსი, მისი საუკეთესო მეგობრები არიან.

„არ მესმის, რატომ ჩამოუყალიბდათ ამ გოგოებს ასეთი იმიჯი. ისინი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. სერენასთან ხშირად ვჭორაობ კიდეც — ბიჭებზე, მუსიკაზე, მოდაზე, ყველაფერზე, რაც კორტის მიღმაა.“

თურმე ნუ იტყვით და, შავდები მას საქორწილო კაბასაც კი შეპირებიან...

როგორც ერთი ჩვენი დასავლელი კოლეგა ამბობს, ამ ძალზედ კეთილსა და ჰალალ გოგოს ახლა მხოლოდ ერთი რამე აკლია — სლემტიტული, რომლის გარეშეც ამქრის პირველოსნობა თეთრის საღირალ ამბად იქცევა.

„ვინღა იხსენებს აბლა იმას, რომ მარსელო რიოსი ოდესღაც კაცთა ამქარს პირველოსნობდა? — კითხულობს ივი — ჩილელის ოდინდელი ხანმოკლე ზეობა საკვლებით დაჩრდილა მისმა უუნარობამ, კარიერისას ერთი სლემტიტული მაინც მოეხვეჭა.“

აშშ-ის წლევანდელ ღია პირველობაზე კიმის უმთავრესი მეტოქე — უილიამსთა ისევტრავმირებულობის გამო — კვლავ ჟუსტინ ენენი იქნება.

საინტერესოა, რას იტყვის მისი და ჟუსტინის ურთიერთობაზე ის მომავალი ფინალის შემდეგ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი კარიერის პირველ სლემტიტულს მას ისევ ვერაგი თვისტომი არ დაანებებს.

ლევან კელაურაძე



კიმ კლაისტერსს ჟუსტინ ენენზე ბოღმა არ ჩარჩა



REUTERS რიკონეედან

ᲙᲝᲪᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

ეს ამბავია, რომ იტალიაში, რიკონეში დიდი ხალისით ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატი კოცნაში. შეჯიბრს ისეთი სახეობებიც ჰქონდა, როგორიცაა, ვთქვათ, საკალათბურთო კოცნა და წყალქვეშა კოცნა. მოგებულიც ის წყვილია, რომელიც უფრო დიდხანს არ მიწყდება ერთურთის ტუჩებს.

REUTERS მალაგიდან

ᲙᲐᲪᲘ ᲐᲘᲕᲐᲜᲖᲔ

ალარ გათავდა სასამართლოში სიარული. მადრიდის „ატლეტიკო ს“ ყოფილი პატრონი და საკურორტო ქალაქ მარბელას მერი ხესუს ხილი, რომელსაც სამწელიწადნახევარი ციხეში ჯდომა აქვს მისჯილი, ხოლო გადასახდელად 16 მილიონი ევრო, კვლავ სასამართლოშია. კორუფციაში მხილებულ ხილს ტელეშოუში თაღლითობაში უმხელია მარბელას ამჟამინდელი მერი, ხულიან მუნიოსი და მალაგის სასამართლოში დასაკითხად გამოუძახიათ. მალაგაში ცხელა და ხილი სასამართლოს აივანზე აი, ასე დგას. რას ~~უზამ~~ ამ კაცს?

გველნავების შეჯიბრი

ინდოეთის ქალაქ ალეპეის ახლოს, დიდ ტბაში მთელი ჯიგრით ჩატარდა გველნავების შეჯიბრი. ეს ინდოთა ეროვნულ სპორტია: ვიწრო ნავებზე ას-ასი მენიჩბე ზის და წავიდაა... ქალებიც კარგი მენიჩბენი ყოფილან.



REUTERS ალეპეიდან

ᲕᲐᲜᲓᲝ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲖᲘ

პატრონს გუსტავ შიკედანსი ჰქვია, ოოკეის ბატრიკ ჰასბენდსი, მთავარი კი მაინც ცხენია, რომელსაც ბრიდერს სტეიგის რბოლა მოუგია ტორონტოში. ეს პირველი კანადური ცხენია, სეზონში ტრიპლი რომ გაუხერხებია 1993 წლის შემდეგ. ჰო, ცხენს ვანდო ჰქვია.

REUTERS ტორონტოდან

ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, �პᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

მთავარი რედაქტორი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
დირექტორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲭᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
რედაქტორი ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲖᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
მთავარი რედაქტორის მოადგილე ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲝᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ტექნიკური რედაქტორი ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲒᲣᲯᲐᲚᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘᲡ რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ რედაქციის რედაქტორი: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲕᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ვანო ოქროპირიძე
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
ᲙᲝᲛ�პᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.sarbieli.com.ge